საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგვარიც ბოჭდვუბი სიფიცაა, ცუდიღებით და ჯიბრებით ბუბთის გაფანა ცვეღა შკარძისობაზე შსამაგღესია.

პარასკევი, 29 იანვარი. 2016 წ. №17 (7909), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ვერ ნახავ!..

ოდესიდან ასისინებულნი

სააკაშვილ-ადეიშვილის ანტისაოცნებო დუეტი

„თქვე სირებო, თავის დროზე უნდა მოგეშორებინათ ეგ ნაბიჭვრები!“

③

შეივსება ბათუმის ბულვარის დამაქცევართა სამარცხვინო სია?

⑥-⑦

ბუნტი ჭატჭამს ბარეთ

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი იმ ნაკრებს გათბობას არ ურთავს, რომელიც საქართველოში ნომერ პირველი სპორტის სახეობისაა.

10

მეტრო თბილისის სიამაყეა!

თბილისის მეტროს 50 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ საზეიმო მიღება გამართა. მიღებას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული სტუმრები... ღონისძიებაზე დაჯილდოვეს მეტროს ის თანამშრომლები, რომლებიც გახსნის დღიდან მუშაობენ მეტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. ერთგულ თანამშრომლებს კი სპეციალური სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

საზეიმო მიღების შემდეგ, თბილისის მერმა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მეტროსადგურ „რუსთაველის“ ქვედა ფოიეში გამართული გამოფენაც დაათვალიერა. ექსპოზიციაზე მეტროს ისტორიის ამსახველი არქივიდან 56 სურათი იყო წარმოდგენილი.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, წელს იგეგმება მეტროს განვითარება, რაც მოქალაქეების კომფორტულად მგზავრობასთან იქნება დაკავშირებული...

ლარი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.498; ევრო - 2.716;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.575;
100 რუბლი - 3.177; თურქული ლირა - 0.834;
აზერბაიჯანული მანათი - 1.565;
1000 სომხური დრამი - 5.129

ამინდი 29 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე -7, დღე +9
მთიანი რაიონები - ღამე -10, დღე +5
დასავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +8
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +5
თბილისი: ღამე -3, დღე +7

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რედაქცია:
293-37-87,
599-79-76-79

თეა წულუკიანი: საქართველოსთვის პოზიტიური გადაწყვეტილება

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების ფორმულირებები სწორია და ვერ მიიღებს მხედველობაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს

„ჩვენ შევისწავლეთ ეს გადაწყვეტილება და მიგვაჩნია, რომ ამ გადწყვეტილების ფორმულირებები სამართლებრივად სწორია, არის შესაბამისობაში საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფო ინტერესებთან. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ნათქვამია არაერთხელ, რომ სამხრეთ ოსეთი არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ის არის საქართველოს ნაწილი.

ასევე, ნათქვამია, რომ ჰააგის სასამართლო მხედველობაში იღებს მხოლოდ იმ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელიც ერთი მხრივ, რუსეთში და მეორეს მხრივ, საქართველოში ჩატარდა და ის არ და ვერ მიიღებს მხედველობაში იმ საგამოძიებო მოქმედებებს, რომელიც შეიძლება ჩატარებულიყო სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ, რადგან სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის“, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულია ყველაფერი ის, რაც მათ, როგორც მხარემ, ფაქტუ ბენსუდას თბილისში ვიზიტისას საკითხებად დააყენეს.

„როგორც ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებაშია ნათქვამი, იმ ფაქტების მიხედვით, რაც მათ ხელთ არის დღეს, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ქართველების ეთნიკური წმენდა, მიზნად ისახავდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებას, რათა სამხრეთ ოსეთს მიეღწია დამოუკიდებლობისათვის“, – აცხადებს თეა წულუკიანი.

მისივე თქმით, როგორც ჰააგის მოსამართლე ამბობს, იმ ფაქტების მიხედვით, რაც მას დღეს აქვს, 8000-ზე მეტი ქართველის სახლი არის დანგრეული, 100-ზე მეტი ქართველი არის განზრახ მოკლული და 20 000-მდე დევნილი შეიქნა.

წულუკიანისთვის პოზიტიური და მისასალმებელია ის, რომ გამოძიებაზე გადაწყვეტილება გაიცა რამდენიმეთვიან პერიოდზე. კერძოდ, 2008 წლის 1 ივლისიდან, 2008 წლის 10 ოქტომბრამდე მომხდარ ფაქტებზე. მინისტრის განმარტებით, ამით შესაძლებელი ხდება, რომ საქართველომ აჩვენოს ის წინაპირობები, რომელიც ომს უძღოდა.

ეს დღე არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს

სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან 10 წელი გავიდა. დღეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა მოადგილესთან ანა დოლიძესთან და მრჩეველთან მაია ქავთარაძესთან ერთად კიდევ ერთხელ მიაგო პატივი სანდრო გირგვლიანის ხსოვნას და მისი საფლავი ყვავილებით შეამკო. საბურთალოს სასაფლაოზე სანდრო გირგვლიანის ხსოვნის პატივსაცემად ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველიც მივიდა.

თინათინ ხიდაშელის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის სიკვდილმა საქართველოს ისტორიაში გარდამტეხი როლი შეასრულა.

„ძალიან ბევრი წელია, ჩვენ აქ მოვდივართ ბევრი რამის ნიშნად. პირველ რიგში, მწუხარების გამოსახატავად, ამავე დროს იმის საჩვენებლად, რომ არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სახელმწიფოში არ უნდა განმეორდეს ამბავი, რომელიც საქართველოში 27 იანვრის ღამეს მოხდა, არასდროს შეიძლება სახელმწიფო ისეთი ყრუ და მუნჯი იყოს, როგორც იმ წლების განმავლობაში იყო. სანდრო გირგვლიანის საფლავი არის ნიშანი იმისა, სახელმწიფო გაქვს თუ არ გაქვს. ჩვენ სახელმწიფო არ გვქონდა. გვყავდა ხელისუფლება, რომელიც საკუთარ თავს ხედავდა სარკეში. ამიტომ, ვფიქრობ, ყოველი ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში ხარ, სპეციფიკურად მნიშვნელოვანია, რომ ეს დღე არასდროს დაგვავიწყდეს“, – აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრმა კი ქანთარიას შეახსენა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს იმ პოლიტიკური გუნდიდან ჰყავს, რომელსაც თავად ეკუთვნის.

თინა ხიდაშელის განცხადებით, ცოტა მეტი ფიქრი სჭირდებათ იმ პარტიაში, საიდანაც ეს განცხადებები კეთდება.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ ამ შემთხვევაში ცოტა ზედმეტად გაუშინაურდა დეპუტატი ინტერვიუს და თქვა ის, რასაც შეიძლება ფიქრობდეს. მისი თქმით, „ქართულ ოცნებაში“ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც არ აკვირდებიან გაკეთებული განცხადების იქით რა პოლიტიკური შინაარსი იგულისხმება.

„ეს გამოცდილება არა აქვს ბატონ ნუკრის. ასე რომ, გამოცდილების დეფიციტი მარტო მინისტრებს არ მოეკითხება. რაც შეეხება ჯანელიძის გამოცდილებას, ძალიან ძნელია ამის თქმა. რაც არ უნდა გამოცდილი პერსონა აიღო ქართული დიპლომატიური კორპუსიდან, შეიძლება წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდეს და სწორედ იმიტომ, რომ გამოცდილია - გამოცდილება რაღაცა სტრეოტიპებს გულისხმობს. გამოუცდელმა დიპლომატმა შეიძლება მოულოდნელად ისეთი დიპლომატიური ილეთი ჩაატაროს, რომელმაც შესაძლოა შედეგი უფრო მოიტანოს.

გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირის ნომერ პირველი დიპლომატი ედუარდ შევარდნაძე. დიახ, საერთოდ გამოუცდელი იყო შევარდნაძე ისე დაიწყო საბჭოთა იმპერიის დიპლომატიის მეთაურობა, მაგრამ მოულოდნელობის შექმნის უნარმა გზა გაუკაფა. ასე რომ, წინასწარ იმის თქმა, ვინ უფრო წარმატებული იქნება ამ ტიპის შეხვედრაზე, ძნელია, თუმცა, არ შეიძლება, არ დაეთანხმო ბატონ ნუკრის, რომ მომზადება საჭიროა, რადგან ეს არ არის მხოლოდ ორი ადამიანის დიალოგი“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

თამთა ძარჩავა

პიროვნება პასუხისმგებელია დანაშაულებებისთვის, რომელზეც ვრცელდება სასამართლოს იურისდიქცია

სიხსლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება, საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთში ამ დრომდე გრძელდება.

ჰააგის სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ჰააგის სასამართლოს გამოძიების დაწყება არ შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულმა სახელმწიფომ საკუთარი გამოძიება უკვე ჩაატარა ან ატარებს.

„გამოძიების დაწყება გასული წლის 13 ოქტომბერს მოვითხოვეთ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ საქართველოში არსებული ვითარების წინასწარი შესწავლის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც მოპოვებულ იქნა ინფორმაცია სავარაუდო დანაშაულებებზე. ეს დანაშაულები შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართულ სამივე მხარეს ეხებოდა – ესენია საქართველოს შეიარაღებული ძალები, სამხრეთ ოსეთის ძალები და რუსეთის შეიარაღებული ძალები.

სიხსლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების დაწყება არ შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულმა სახელმწიფომ საკუთარი გამოძიება უკვე ჩაატარა ან ატარებს. ბოლო დრომდე საქართველოშიც და რუსეთშიც გამოძიება მიმდინარეობდა, თუმცა გასული წლის მარტში საქართველოში გამოძიება გაურკვეველი დროით შეჩერდა, რუსეთში კი საგამოძიებო პროცესი ამ დრომდე გრძელდება.

ჰააგის სიხსლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება უკავშირდება მხოლოდ იმას, რამდენად გამართლებული იყო გამოძიების დაწყება. ეს გადაწყვეტილება არ გულისხმობს რაიმე დასკვნას კონკრეტული პირების ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხზე. მოსამართლეებს, პირის დაკავების ორდერისთვის ან სასამართლოში დაბარებისთვის მივმართავ მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როცა მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, იქნება გონივრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ პიროვნება პასუხისმგებელია დანაშაულობებისთვის, რომელზეც ვრცელდება სასამართლოს იურისდიქცია“, – ნათქვამია ბენსუდას განცხადებაში.

სამხრეთ ოსეთი ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო

სამხრეთ ოსეთის რეგიონზე საუბრისას BBC-ის ისტორიული ფაქტები აერია. სტატიაში, რომელიც 2008 წლის მოვლენების გამოძიების შესახებ ჰააგის სასამართლოს მიერ გაცემულ სანქციაზეა საუბარი, ნათქვამია,რომ სამხრეთ ოსეთი ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, 2008 წლის ომი კი ქართული მხარის ოპერაციით დაიწყო. „სამხრეთ ოსეთს ჩრდილოეთ ოსეთისგან რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ჰყოფს, თუმცა ეთნიკური და ენობრივი ნიშნით ოსები რეგიონში მცხოვრები სხვა ერებისგან განსხვავდებიან. სამხრეთ ოსეთი ჯერ რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის. 2008 წლის ომის შემდეგ მოსკოვმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, რის შემდეგაც ცხინვალსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის გაღრმავება დაიწყო. ამ პროცესს საქართველო ფაქტობრივ ანექსიად აფასებს. ომი ქართული მხარის ოპერაციით დაიწყო, რომელიც იმედოვნებდა, რომ სამხრეთ ოსეთს დაიბრუნებდა, მაგრამ რუსულმა ჯარებმა მალე დაიბრუნეს ოლქი და ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე,“ – ნათქვამია სტატიაში.

ცხინვალი ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება

სიხსლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ შეუძლია გვერდი აუაროს ათასობით მტკიცებულებას ქართველი სამხედროების მიერ სამხრეთ ოსეთში ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ამის შესახებ სააგენტო „რია ნოვოსტის“ ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი ტასოევმა განუცხადა. მისივე თქმით, ქართველი სამხედროების დანაშაულებრივი ქმედებების დამადასტურებელი ფაქტები გადაეცა როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ისე სიხსლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ტასოევი დარწმუნებულია, პროკურორების მხრიდან სულ მცირე მიუკერძოებლობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება ამ მტკიცებულებების გვერდის ავლა.

◎ გამოცდილების დეფიციტი

გამოუცდელი იყო შევარდნაძე, როდესაც საბჭოთა იმპერიის დიპლომატიის მეთაურობა დაიწყო...

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რუსეთსა და საქართველოს შორის პირველი პირების დონეზე დიალოგი აუცილებელია, ასევე – მნიშვნელოვანია სერგეი ლავროვის განცხადება, რომ ქართველ კოლეგასთან შეხვედრისთვის მზად არის. პრემიერი ამბობს, რომ საკითხს განიხილავენ და უახლოეს მომავალში გაკეთდება კომენტარები.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ქართველ კოლეგასთან შეხვედრის მზაობა ყოველწლიურ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ლავროვმა ასევე შეახსენა ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადება, რომლის თანახმად, ის მზად არის, საქართველოს პრეზიდენტს შეხვდეს.

თუმცა, უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია ქვეყნის პირველ დიპლომატს მიხეილ ჯანელიძეს კომპეტენციას უწუნებს, ვინაიდან თვლის, რომ ლავროვთან შესახვედრად მიხეილ ჯანელიძეს საკმარისი კომპეტენცია არა აქვს.

ნუკრი ქანთარიას ამ განცხადებას არასწორ გამონათქვამად აფასებენ უმრავლესობაში. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე ამბობს, რომ კოლეგების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ვიწრო წრეში შესაძლებელია, თუმცა საჯაროდ მსგავსი განცხადებები არ უნდა კეთდებოდეს, მით უმეტეს, როცა ძალიან შორსაა რეალობისგან.

„მიხეილ ჯანელიძის კომპეტენციაში ეჭვის შეტანა მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ არ იცნობენ მის კომპეტენციას“, –ასე უპასუხა უმრავლესობის წევრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ, რომლის განცხადებით, საქართველოს მხარე ყოველთვის მზად არის რუსეთთან დიალოგისთვის და მთავარი საკითხი ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობაა.

„თქვე სირებო, თავის დროზე უნდა მოგეშორებინათ ეგ ნაბიჭვრები!“

უკრაინული WIKILEAKS-ი მორიგ ფარულ ჩანაწერს აქვეყნებს – რას გეგმავს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა?!

უკრაინული WIKILEAKS-ი მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს შორის შემდგარ საუბარს აქვეყნებს სათაურით: ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის და საქართველოს ყოფილ იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის საუბრის გაშიფრული ჩანაწერი.

დღეს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ საქართველოს მაოხრებელი გზირის ამ გამაოგნებელ ნაბჟუტურებს.

მ. მოდი ზურა! ზრასტი ძმაო როგორ ხარ?!

ა. მიშა, ძირითადად მოგიყვები, რაც მითხარი საქართველოს თემებზე !

მ. იქ იცოდე, სიტუაცია უნდა დავძაბოთ. კარგი იქნება, დივერსიები ზუგდიდში, თბილისში, მარნეულში! ბათუმი კიდევ, ნავთობსადენიც კარგი იქნება!

ა. მიშა, მე არ ვუჭერ მაგას მხარს. ხო ნახე შენი დაგეგმილი, რომ გაეკეთებინათ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, მსხვერპლი მოყვებოდა და შედეგიც არ დადგებოდა.

მ. შენ ბიჭო, ძაან ჭკვიანი ნუ გეგონება თავი. მე რომ არ ჩავრეულიყავი, დავკარგავდით „რუსთავს“ და წაიღებდა პინგვინა.

ა. იცი რა, ეგ საკითხი საერთაშორისო ზეწოლამ გადაწყვიტა, როგორც გეუბნებოდი. მაკკეინმა და ელჩმა გადაარჩინეს სიტუაცია. თორე ის რაც სუს ჩანაწერები ქონდა ბოკერიასა და სხვებზე, ჩვენ დროს ყველა ციხეში იჯდებოდა უკვე. მე არ მინდა მაგ ოპერაციებში ჩარევა, კვლევებს მივცემ და დაავალე იქ, გიგა და კეზერას ხალხი მიხედავენ მაგას.

მ. რა წუწუნა ხარ შე ჩემა, შენ არ გეხება ეგ საკითხი. მაგათ აქვთ დავალებული და მთავარია რუსებს გადავაბრალოთ ყველაფერი, რა.

ა. ეგ თემაც თუ ძალიან გინდათ, ისე უნდა გაკეთდეს, თავისი მსხვერპლით და პიარით, რომ ესე ითქვას, მიშა არჩევნებს იგებს და პუტინს უნდა, რომ ხელი შეუშალოს და საქართველოს აფეთქებსო! იქვე კადრები გავა დაღუპულების ოჯახები რომ იყვირებენ, მიშა მოგვხედე, გვიშველე, დაგვიცავი, უშველე საქართველოს! აი, ეს უნდა იყოს შედეგი!

მ. მერე მეც მაგას გეუბნები, რომ მაგ კუთხით დაეხმარეთქი, აბა შენ ხომ არ შეგაგდებინებ გრანატას ზუგდიდის ბაზარში!

ა. ჩერნოვიცკის და ბურჭულაძის თემაა მისახედი მიშა. ეს უფრო მნიშვნელოვანია. ანალიზი, რომელიც გავაკეთებინეთ ნატო. მოძრაობის რეიტინგს, 14-15% აფიქსირებს. პრინციპში ეს ჩვენი უცვლელი რეიტინგია და მაგის გაზრდა ძნელი იქნება, ადმინისტრაციულ რესურსს ჩვენ არ ვაკონტროლებთ. ამიტომ 65%, რომელიც არც ჩვენ და არც ოცნებას აძლევს ხმას, ეგ ელექტორატი უნდა ავითვისოთ.

მ. ზურა, ოცნების რეიტინგი თუ შეისწავლეთ, მაგათ რა აქვთ ეხლა?

ა. მაგათი რეიტინგი რეგრესშია! მიახლოებით ჩვენნაირი აქვთ 15 %, ნუ სახელისუფლებო რესურსით 2-3 % გაზრდიან, მეტი არა! უმრავლესობის შანსი მაგათ არა აქვთ. საერთოდ, უმრავლესობას ვერავინ აიღებს. მაჟორიტარებს არ ვგულისხმობ, ეგ ცალკე უნდა განვიხილოთ! ჩვენი მთავარი ამოცანაა პაატას და ლონიას მივხედოთ და ჩვენები იქ გადავანაწილოთ!

მ. ბიძინას „რესპები“ რომ ჩამოვაშოროთ? დათო და თინა ვერ იტანენ მაგ პინგვინას. უსუფა მეუბნებოდა, ესეთი გაუნათლებელი არსება არ მინახიაო, რა ვქნა, თავს ვუქნევო. ვაშინგტონიდან მივაწოდებთ ამ თემას და ცალკე გავიდნენ ეგენი პარლამენტში, ესე აჯობებს!

ა. მიშა ძალიან გთხოვ რა! ეგენი შენ გელაპარაკებიან ასე, სინამდვილეში ბიძინას უძვრებიან. საგარეჯოში რომ დავეხმარეთ, მადლობაც არ შემოუთვლიათ! „რესპები“ არიან ეხლა ხელისუფლებაში, სხვა კი არავინ არის. მერე ეგენი ცალკე რომ გავიდნენ, ბარიერს ვერ გადალახავენ. რესპუბლიკელების გარეშე ოცნება მეტ ხმას აიღებს და რათ გვინდა ეგ! მაგას ჯობია, ჩვენ დავეხმაროთ, რომ ბიძინას იან კელი მიაწვეს და რესპებისთვის მეტი ადგილი დაათმობინოს. ეს არის უკეთესი.

მ. ისე, მართალი ხარ ზურიკო! მაგათ ხმას არავინ მისცემს და ოცნებაში იყვნენ და იქ დავათრევინოთ გამსვლელი ადგილები. ლონია მელაპარაკა და იმედი აქვს , რომ ბევრ ხმებს აიღებს. მაგას კარგი გამოცდილება აქვს კიევში მიღებული. იანუკოვიჩს ებრძოდა და კიევი მოიგო. პენსიონრებთან მუშაობა იცის მაგ ჩემისამ, მაგარი აფერისტი ტიპი კია ისე.

ა. მიშა, მეც მაგას ვამბობ, ხომ არ გადაგვაგდებს, მერე პარლამენტში თუ მოხვდა!?

მ. მაიცა, რა! მაგას მოვუტყნავ როჟას. მე რომ არ შემენახა, ციხეში იჯდებოდა დღესაც და მილიონები გაუფრინდებოდა. შენ სძინავ დადე და მიეცი მაგას, გადაგდებას ვაჩვენებ მაგას, ვერ გაბედავს!

ა. ეხლა რაც დაიწყეს ცუდი არ არის, ის დუმბაძე ჩვენთან არ ასოცირდება და კარგია. მაგასთან ნაციონალებიდან ჯერ არავინ არ უნდა დაფიქსირდეს. „იმედის საქართველო“ არ არის ცუდი. რეგისტრაციის საკითხი აქვთ გასაკეთებელი და ინფრასტრუქტურაში დავეხმარებით. სოციალურ დახმარებაზე, პენსიების გაზრდაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. დახმარების პროექტებს გაუწერთ, ფულები ტყუილად რომ არ ფანტოს. ჩერნოვეცკის მიმართულება სოციალური თემა უნდა იყოს. თან თვითონ მაგან უნდა გამოაცხადოს , რომ არანაირი თანამდებობა არ უნდა, რახან ის საქართველომ დაიფარა, უყვარს საქართველო და ასეთები... ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობა პენსიონრები არიან და მაგი უნდა გავხადოთ, პენსიონრების ლიუბიმჩიკი!

მ. გეთანხმები, კი! კარგი ვარიანტია. შენ კონცეფცია გაწერე და მაგის კაცს მოგამაგრებ. თან გააკონტროლე მერე, ხო!

ა. კარგი! მე ლარისა რომ არის კიევში, ეგ მეკონტაქტებოდა და...

მ. არა, არა სხვა იქნება საქართველოდან. სხვებზე რას ვშვებით?

ა. ხო, ეხლა პაატას საკითხი დასახვეწია. მაგი პარტიული მუშაობის აზრზე არ არის, მაგრამ სასტავი გაუკეთეთ და დაწყებული აქვს მუშაობა. მაგის ხიბლი ის არის, რომ შევარნაძის ჩინოვნიკები ვინც იყო, ასევე ოცნებაზე განაწყენებული, შეიკრიბონ მაგასთან. ეგ პროცესი დაწყებულია უკვე. ეხლა პროგრამაზე მიდის მუშაობა და ახალი ეტაპი იქნება მაგათი ფონდისთვის. პოლიტიკური ორგანიზაცია გასაკეთებელი ექნებათ.

მ. ნუ გაწელავთ, ყველაფერი დროულად არის გასაკეთებელი. სხვა ჯგუფებში რა ხდება?

ა. სხვებში რა! ბურჯანაძეს პარტია დაშლის პირას ყავს, შალვა ვერაფერს შეძლებს. მაგას ცოტას თუ მივცემთ და ბიძინაზე ვალაპარაკებთ, ეგ იძნება. თარხან-მოურავის პარტია რომ არის, მაგენი ეცდებიან, აკრიფონ, მაგრამ ბიძინასგან ელოდებიან წყალობას და მაგ ორბიტაზე ტრიალებენ, რესპუბლიკელების ჩანაცვლება უნდათ. ახალი სასტავები ჩნდებიან უკვე, ერთმა სახალხო ხელისუფლება დაირძვა, ხუთ ენაზე გააფრცელეს ახალი წლის მილოცვა, აფხაზურ-ოსურადაც. ეს ჩვენმა სირებმა როგორ ვერ მოიფიქრეს. როგორც დავადგინე მამალაძის და მოლაშვილის შეძმნილია. არ ხმაურობენ მაგრამ, რეგიონებში ოფისებს ხსნიან აქტიურად.

მ. თქვე სირებო, თავის დროზე უნდა მოგეშორებინათ ეგ ნაბიჭვრები.

ა. გასაგებია! მამალაძის ჩასვლა დაბლოკილი გვაქვს, პროკურატურაში მაგის საკითხები გავჭედეთ, ხიდაშელი არის თან მონდომებული. აპელაციაში შეიტანა და იქ ჩემია , უარი უთხრა, ახლა უზენაესში აქვთ საქმე შთანთქმის გამოყენებაზე და იქ გიორგის აქვს შავლიაშვილს, ჩემი ახლობელია და ის მიხედავს. კაროჩე, მამალაძეს არ ჩაუშვებთ იქ, მოლაშვილი კი ძლივს დადის, ორი დღე აქვს დარჩენილი ალბათ!

მ. ზურა, სასამართლო და პროკურატურა, სულ შენი გამოზრდილები არიან და მიხედე!

ქინძი ალასანია რას შვება? ხო, გარადაბანში კიდე რა ვათარებაა?

ა. აუ, გარდაბანი დაიკიდე რა, არაფრის მაჩვენებელი ეგ არ არის! ირაკლის სასტავიდან ,ზოგი ბიძინას კოალიციაში შესვლაზე ჩალიჩობს, შიშები აქვთ რომ შეიძლება ვერ გადალახონ! მაგათ ფინასებით ჭირდებათ დახმარება. ჩემი აზრია, რომ დავეხმაროთ, რადგან ეგ ოცნების ელექტორატზე იმუშავებს.

მ. ყოველთვის ხელით სათრევი როგორ უნდა იყოს, ეგ ჩემისა. რა ვიცი, აბა. შენ შეძლებ მაგის დალაგებას და მიხედე.

ა. ხოროშო! ნაცმოძრაობა გვაქვს მისახედი სერიოზულად. შიდა დაჯგუფებების თემა უნდა დავამთავროთ. ეხლა ბიუჯეტს ვაკეთებთ. ყველგან არის ოფისები აღსადგენი. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლებაში ვბრუნდებით. მე სპეციალურად გავავრცელებინე ჩემი ხედვები. იმას რასაც ჩვენზე ამბობენ, რეჟიმი და ასე შემდეგ, ჩვენვე უნდა ვთქვათ. ძალადობრივ მომენტებზე, ასევე ვიტყვი, რომ რუსეთი გვიტევდა და სახელმწიფოს გადარჩენის ამოცანა გვქონდა. ამიტომ შეცდომებიც იყო, ზოგიერთის გადაცდომაც იყო, მაგრამ სახელმწიფო შევინარჩუნეთ და გავაძლიერეთ. ამას მივაბამ ყველა ასპექტს, რომ სააკაშვილმა და ნაცმოძრაობამ შექმნა ძლიერი საქართველო, მისი დაცვის საერთაშორისო გარანტიები, ხალხი სოციალურად დაცული იყო, მუშაობდა ყველა და ასე შემდეგ. რომ იცოდე, მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთისკენ იხრება და ეგ თემაც უნდა მივიბათ. მიახლოებით ასე, რომ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობას მხარს ვუჭერთ, და არა კაცთმოძულე აგრესორ პუტინს! კაროჩე, ყველა საკითხი რისი მოსმენაც უნდა ხალხს, ყველაფერი ჩვენ უნდა ვთქვათ და ჩვენ სასტავებს ვათქმევინოთ! მთავარი აქცენტი გვექნება, იმაზე რომ ყველა პროგნიზით არჩვენებს ვიგებთ, ხელისუფლებაში ვბრუნდებით და ყველანაირი დაძაბულობისა და ანგარიშსწორების გარეშე გადმოვიბარებთ სახელმწიფოს მართვას. ბიძინაზეც ვიტყვით, რომ არ იცის ქვეყნის მართვა და ამიტომ გაავსო მთავრობა უვიცებით, თავისი ბიზნესისთვის იყენებს ქვეყანას, ამიტომაც ხალხი ცხოვრობს ცუდად. ვიტყვით, რომ ბიძინას არ გავდევნით საქართველოდან, დარჩეს როგორც მეცენატი.

მ. ამ პინგვინზე რამდენს ბაზრობ, პუტინის კაცია – თქვით და დაამთავრეთ. სადაც არ უნდა გაძვრეს, მაგას მაინც არ მოვეშვები!

ა. მიშა, ძალიან გთხოვ, რა. შენ არ აგვირიო საქმე. ეხლა პიარის გაწერას ვამთავრებთ ბიჭებთან ერთად, რუსთავს და სხვებსაც თავისი დატვირთვა აქვს და კიდევ გეტყვი რა, ხალხის სათქმელი ჩვენ უნდა ვთქვათ. ხმები გავზარდოთ და მერე რაც გინდა, ის გააკეთე.

მ. კაი, კაი! რომ დაამთავრებთ სამოქმედო გეგმის ფორმირებას, დეტალები გავიაროთ. დამფინანსებლების სია ცალკე გააკეთეთ, მე რა უნდა დავდო, ანუ კეზერამ, ბეჟომ, ფიფიამ, გაზის სფეროდან და სხვები. კაროჩე ეგ დავითასთან ერთად გააკეთეთ!

ა. კი ეგრეც ვაპირებ. ასე რომ, ყველა ჯგუფი, რომ გავიყვანოთ, არ გამოვრიცხავ, პარლამენტში უმრავლესობა მოვაგროვოთ და მერე როცა გინდა დაბრუნდები.

მ. შენ შიგ ხომ არ გაქვს, რა მინდა მაქ, სირებთან. საქართველოს უნდა ვაოცნებო სააკაშვილზე! ამერიკელებთან გეგმა მაქვს, როგორც ვილაპარაკეთ მაშინ ის რეალურია უკვე. ცოტა ხანი და უკრაინის ურიადს დავითრევთ. მერე კი იცი, რასაც გავაკეთებთ, ჩემო ზურიკო! ბილტდის თემაც ჩვენი შეგდებულია!

ა. ძალიან კარგი, მიშა, აბა ორმოცდორი მილიონის მართვას როგორ შევადარებ საქართველოს ორ კინკილა დებილებს. იაცენიუკ-ავაკოვის გაჟიმვა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

მ. ბიჭო, მაგათ უკრაინელი ხალხი დედას უტირებს, მიქსეული მყავს და მთავრობის დათრევის თემა რომ გაბაზრდა მთელი ეს ჩალიჩა ოლიგარქები ჩემთან მორბიან. მაგათ ნელ-ნელა გადმოგაბარებ.

ხო, ეხლა, მოიცა.

да!

К. Михаил Николаевич, Вас ожидает Олег Викторович!

М. Ааа, Да, да сейчас, я выйду!

მ. ზურა დავამთავროთ რა, ეგ ბოიკო იცი ვინ არის, რიციო გრუპის მფლობელია, სპეციალურად ჩამოვიდა. ყველაზე დიდი კაზინოები მაგისია, ვულკანი ხომ იცი და სხვები კიდე. კაზინოების ადგილებს ვაჩვენებ. კაროჩე, ეგ დათრეული მყავს! კაზინოების აღდგენა რომ მოვითხოვე მთელი ამბავი ატყდა, ინვესტიციებზე რიგებს დავაყენებ, აი ნახავ!

შენ გეგმა გაამზადე და მერე გავიაროთ ერთად!

ა. კაი, კაი. წავედი მიშა, კარგად!

ამერიკელებთან გეგმა მაქვს, როგორც ვილაპარაკეთ მაშინ, ის რეალურია უკვე. ცოტა ხანი და უკრაინის ურიადს დავითრევთ. მერე კი იცი, რასაც გავაკეთებთ, ჩემო ზურიკო!

MARSHALPRESS

◎ „ᲤᲠᲘᲓᲝᲛ ᲰᲐᲣᲡᲘᲡ“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲘᲡᲔᲕ ,,ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲗᲐ“ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კვლავაც „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში გვხვდება „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ 27 იანვარს გამოქვეყნებულ ანგარიშში („თავისუფლება მსოფლიოში – 2016“), რომელიც 2015 წლის მდგომარეობის შეფასებას ისახავს მიზნად. ანგარიში ასახავს პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების რეალიზების მხრივ არსებულ სურათს მსოფლიოს 195 ქვეყანასა და 15 ტერიტორიაზე. ტერიტორიების კატეგორიაში ვხვდებით აფხაზეთს, როგორც „ნაწილობრივ თავისუფალსა“ და სამხრეთ ოსეთს, როგორც „არათავისუფალს“.

უკვე ზედიზედ მეათე წელია, რაც ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ მსოფლიოში თავისუფლების ხარისხის კლებაზე იუწყება. ასეთი რეალობის ხელშემწყობ ფაქტორებს, შარშანდელი მონაცემებით, წარმოადგენდა მსოფლიოს მასშტაბით გამოვლენილი ურთიერთგადამკვეთი კრიზისები, რომლებიც კვებავდნენ ქსენოფობიურ განწყობებს დემოკრატიულ ქვეყნებში და იწვევდნენ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემებს მთელ რიგ სახელმწიფოებში.

წინასიტყვაობაში, რომლის თანაავტორია „ფრიდომ ჰაუსის“ ვიცე-პრეზიდენტი გამოკვლევების საკითხებში არჩ პადინგტონი, ნათქვამია, რომ ეკონომიკურმა უკუსვლამ ბევრ ქვეყანაში კიდევ უფრო გაართულა კომპლექსური პრობლემები, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო კორუფციითა და საგარეო პოლიტიკის სარბიელზე დაშვებული შეცდომებით. ტექსტის თანახმად, 2015 წელს, მაგალითად, რუსეთი აღმოჩნდა ნავთობის ფასის ვარდნით გამოწვეული პრობლემის პირისპირ, რასაც ემატებოდა მის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები და რუსეთის მიერ დაწესებული კონტრსანქციები, რამაც არანაკლებ დააზარალა ქვეყნის მოქალაქეები. ამ კონტექსტში ნახსენებია საქართველოს ოკუპაციაც:

„უკრაინის, საქართველოსა და მოლდავეთის ტერიტორიების სამხედრო ოკუპაციას, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, რუსეთმა 2015 წლის ბოლოს დაამატა სირიაში შეჭრა, რათა განემტკიცებინა ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მხარდაჭერა. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ეს შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს რუსეთს – ფინანსური, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით“.

„ფრიდომ ჰაუსის“ ახალი ანგარიშის თანახმად, ქვეყნები და ტერიტორიები, რამდენიმე ათეული კრიტერიუმის მიხედვით, 7-ქულიანი სისტემით ფასდებიან. საუკეთესო ქულად მიიჩნევა 1, ხოლო ყველაზე უარესი ქულაა 7. ისევე როგორც შარშანდელ ანგარიშში, საქართველომ წელსაც 3-3 ქულა დაიმსახურა როგორც პოლიტიკური უფლებების, ასევე სამოქალაქო თავისუფლების თვალსაზრისით და ის ისევ „ნაწილობრივ თავისუფალთა“ კატეგორიაში დარჩა.

ის, რომ საქართველომ „ფრიდომ ჰაუსის“ ვერც ბოლო ანგარიშის მიხედვით დააღწია თავი „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიას და ვერ გადაინაცვლა „თავისუფალთა“ კატეგორიაში, სულაც არ უკვირს სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ აღმასრულებელ დირექტორს ზვიად დევდარიანს. როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, სტაგნაციის მიზეზები შესაძლოა, უკავშირდებოდეს მედიის თავისუფლების პრობლემატიკას და, კერძოდ, „რუსთავი-2“-ის საქმეს, როდესაც პროცესების პოლიტიზების შეჩერება მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩარევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, ზვიად დევდარიანი სტაგნაციის სხვა სავარაუდო მიზეზებსაც ასახელებს:

„იმის მიუხედავად, რომ, შარშან არაერთი რეფორმის განხორციელება დაიწყო, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში, პროკურატურაში, სასამართლო ხელისუფლებაში, ფაქტია, რომ ამ რეფორმების ძალიან დიდი ნაწილი არ არის ბოლომდე მიყვანილი... და როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ განცხადებებში, რეზოლუციებში აკეთებდნენ აქცენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ მართლმსაჯულება გამოიყენებოდა გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის და ოპონენტების წინააღმდეგ გარკვეული აქტივობების განსახორციელებლად“.

რადგანაც რეიტინგში უკუსვლა არ შეინიშნება, დამწუხრების განსაკუთრებულ მიზეზს ვერ ხედავს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის თავმჯდომარე ქეთევან ჩაჩავა, თუმცა ის უკეთესი შედეგების ხილვას ისურვებდა, მით უმეტეს, ევროკავშირთან დაახლოების პროცესში. როგორც ქეთევან ჩაჩავა აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას, „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასების კრიტერიუმები დიდწილად სწორედ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს შეესაბამება:

„მოგეხსენებათ, რომ („ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში) ფასდება ქვეყანაში საარჩევნო გარემო, პოლიტიკური პლურალიზმი, მოქალაქეთა მხრიდან ჩართულობის ხარისხი, სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობა, მართლმსაჯულება, პიროვნების დამოუკიდებლობა და ინდივიდუალური უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება – მათ შორის, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა... ასევე საგანგებოდ ფასდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა და ასევე საზოგადოების განწყობა – სოციალური კმაყოფილების ხარისხი... ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებული ხარვეზები სწორედ ასოცირების შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების შედეგად შეიძლება აღმოიფხვრას და გამოსწორდეს. ძირითადად ეს შეეხება DCFTA-ის (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის) ნაწილს – ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების კუთხით“.

ლელა ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ

◎ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ

ᲛᲐᲛᲘᲙᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ მინისტრი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი ნოდარ ხადური ევროპარლამენტის ფრაქცია „სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსის“ დელეგაციის წევრებს შეხვდა, რომელსაც ევროპის პარლამენტში საქართველოს თემაზე მუდმივი მომხსენებელი ანდრეს მამიკინსი (Andrejs Mamikins) ხელმძღვანელობს.

დელეგაციის ვიზიტის მიზანია, საქართველოში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების გაცნობა.

ფინანსთა მინისტრმა სტუმრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, მათ შორის, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და განათლების სფეროებში პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსების მიმართულებით.

დელეგაციის წევრების განცხადებით, მათთვის ცნობილია იმ წარმატებული რეფორმების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობამ განახორციელა მოსახლეობის სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის მიმართულებით. მათი განცხადებით, „სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსი“ კვლავ განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას ევროპარლამენტში ქვეყნის ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით.

სოციალისტური და დემოკრატიული ევროპარლამენტის ფრაქცია „სოციალისტებისა და დემოკრატების ალიანსი“ წარმოადგენს სიდიდით მეორე საპარლამენტო ჯგუფს და მის შემადგენლობაში შედის 195 დეპუტატი.

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ საქართველოში, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით, ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენცია გაიმართება.

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით, მადრიდში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეხვდა.

გიორგი ჩოგოვაძემ და თალებ რიფაიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც კონფერენცია საქართველოში 7-9 სექტემბერს გაიმართება.

კონფერენციას თავად მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მსოფლიოს წამყვანი ღვინის რეგიონებიდან ექსპერტები, მსხვილი ტურ-ოპერატორები და ტურიზმის მინისტრები და საერთაშორისო მედიის წარომადგენლები დაესწრებიან.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეხვედრის პარალელურად ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე ესპანეთის დედაქალაქში ტურიზმისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ მინისტრიალს დაესწრო. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით გამართულ შეხვედრაზე 80-ზე მეტი ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია იყო წარმოდგენილი.

,,ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲘ“ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერი, „დემოკრატიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრის“ დირექტორი ფრენსის ფუკუიამას მოსაზრებით, გაზის გლობალურ ბაზარზე დიდი ძვრებია და გაზით ვაჭრობა დღეს გაცილებით ადვილია, ვიდრე ადრე, რადგან მსოფლიოში გაზის მიწოდების გაცილებით მეტი წყარო არსებობს. „მიმაჩნია, რომ რუსულ გაზს საქართველოსთვისაც აქვს ალტერნატივა“, – ამბობს „ბიზნესკონტაქტთან“ საუბარში ფუკუიამა.

„ვფიქრობ, ყველა სახელმწიფო კომპანია, რომელიც საზღვრებს გარეთ საქმიანობს, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებს ატარებს. ამდენად, „გაზპრომიც“ უფრო პოლიტიკური ტიპის კომპანიაა, თუმცა კომპანიის ფორმას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკის ვექტორი, თუ რა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს ქვეყანას. მაგალითად, იგივე აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა რუსულისგან განსხვავებულია.

ვფიქრობ, ირანი საქართველოსთვის ნაკლებ პრობლემური პარტნიორია, ვიდრე რუსეთი. რადგან ირანელებს რაიმე განსაკუთრებული დღის წესრიგი საქართველოს მიმართ არ გააჩნიათ. „გაზპრომისგან“ გაზის მიღება დივერსიფიკაციის ფორმატში შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა ეს ისეთი დივერსიფიკაციაა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ დაგეხმარებათ“, – განაცხადა ფრენსის ფუკუიამამ.

ᲮᲝ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

წინასაარჩევნო დარდიანი ფიქრების კალეიდოსკოპი

სამი წელი გავიდა ხელისუფლების შეცვლიდან. საღად მოაზროვნე ადამიანებისთვის ცხადია, რომ ამ პერიოდში შეუძლებელი იყო გაპარტახებული ეკონომიკის გაჯანსაღება-აღორძინება და საკადრო რევოლუციის მოხდენა. თუმცა, ორივე მიმართულებით გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები. რაც მთავარია, ქვეყანაში აღარ სუფევს საყოველთაო შიშის ატმოსფერო, აღარ არის მასობრივი მოსმენა-დასმენები, წამება, ქონების წართმევა. თითქოსდა, მადლიერები და კმაყოფილები უნდა ვიყოთ. მაშ, რატომ მოდიან და იცვლებიან, როგორც სურათები კალეიდოსკოპში, ფიქრები, ხშირად დარდიანი...

შევეცდები, რამდენიმე მაგალითის გამოყენებით, ამას გარკვეული ახსნა მოვუძებნო.

ძალიან ბევრი ითქვა იმ ხარვეზებზე, რომელნიც ახასიათებენ სამართლიანობის დამყარების პროცესს. ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ეს სიტუაცია ხელისუფლებისთვისაც ნათელია, ამ თემაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ხალხი დღესაც უფრო მკვეთრი, რეალური ნაბიჯების მოლოდინშია, თუნდაც წინასაარჩევნოდ.

* * *

გავიხსენებ ყველა ქართველისა და პირადად ჩემს დარდსა და ტკივილს – აფხაზეთს. მიმაჩნია, რომ პოლიტიკურად და ზნეობრივად გაუმართლებელია ასეთი განცხადებების გაკეთება: რა აზრი აქვს აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელებთან საუბარს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ კრემლის მარიონეტები არიან, მათ არავინ არაფერს ეკითხება...

ამას წინათ „ევრონიუსზე“ გამოდიოდა სერბეთის პრემიერ-მინისტრი. ცნობილია, რომ სერბეთი არასდროს აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას (კოსოვო-სერბების ისტორიული დიდგორია). პრემიერმა თქვა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ კოსოვოს დღევანდელი ხელმძღვანელები სისხლის სამართლის დამნაშავეები არიან, მაგრამ მე მათ მრავალჯერ შევხვდი, რადგან საკითხები შეეხება ადამიანების ბედ-იღბალს, ყოფა-ცხოვრებასო.

განა ჩვენ ცოტა თემა გვაქვს აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელებთან სასაუბრო – აფხაზეთის მოსახლეობის ქართული ნაწილის ცხოვრების პირობები, თავისუფალი მიმოსვლის დაწესება, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო ურთიერთობების დამყარება, განათლების საშუალებათა შექმნა, ჯანდაცვის საკითხების ოფიციალიზაცია და მრავალი სხვა.

საუბარი, ასეთი საკითხების მოგვარება, სულაც არ ნიშნავს დამოუკიდებლობის აღიარებას. ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან ორად-ორი პირობა უნდა იყოს დაცული: **პირველი,** უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზეთში არაორგანიზებული სამხედრო შენაერთების შეყვანა იყო ტრაგიკული შეცდომა (მგონია, რომ აფხაზებს ეყოფათ გონიერება და, თუ გნებავთ, რაინდობა, რომ საკუთარი შეცდომებიც აღიარონ), და **მეორე,** უნდა გამოკვეთილად ვაღიაროთ, რომ აფხაზები მცირერიცხოვანი, მაგრამ ამაყი და თავმოყვარე ერია, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საკუთარი ტრადიციებითა და მენტალიტეტით (მეტწილად ქართულთან იდენტურით) და მათთან საუბარი გვსურს როგორც თანასწორებთან. პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის გამთლიანების გზა (რაც ორივე ერის ინტერესებში შედის) გადის არა იმდენად კრემლზე, არამედ ქართულ-აფხაზური მეგობრული ურთიერთობების აღორძინებაზე.

ცხადია, რომ ბევრი რამ ზემოთქმულიდან ცხინვალის რეგიონზეც ვრცელდება. რაც შეეხება რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარებას, ეჭვი არ მეპარება: არც თუ შორეულ პერსპექტივაში შედგება შეხვედრა და საუბარი ხელისუფალთა შორის უმაღლეს დონეზე.

* * *

ერთი დარდიანი ფიქრი შეეხება წიგნს, წიგნისადმი დამოკიდებულებას. სამი წლის განმავლობაში აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ წამოსცდენია სიტყვა წიგნის მნიშვნელობაზე ადამიანის ჩამოყალიბებაში (შთაბეჭდილება მრჩება, რომ ერთადერთი, ვისაც წიგნი ახსოვს, არის ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II).

მავანი და მავანი დარწმუნებულია, რომ წიგნის დრო გავიდა და მას კომპიუტერი შეცვლის. გამაგებინოს ვინმემ, როგორ უნდა წაიკითხოს კომპიუტერის მეშვეობით ახალგაზრდამ ჰომეროსი და დანტე, რუსთაველი და შექსპირი. ვფიქრობ, რომ მისთვის, ვინც კომპიუტერის მეშვეობით წაიკითხავს (ვითომ) „ვეფხისტყაოსანს“, ტარიელისა და ამერიკული ფილმების გმირის, რემბოს სულიერი სამყარო ერთნაირი წარმოჩნდება. ქართველებმა შემთხვევით როდი შექმნეს სიტყვა „უწიგნური“. უწიგნური თაობები ქვეყნის ტრაგედიაა.

* * *

მესამის, რომ სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული შეცვლა ნაცმოძრაობის დროშისა, რომელიც ერთი კაცის სურვილით გახდა სახელმწიფო დროშა და, ჩემი აზრით, საყდრისაკენ მიმავალ გზაზე არ გაგვიყვანს. მაგრამ, აგვიხსნას ვინმემ, თუნდაც ქალაქის მერმა დავით ნარმანიამ (რომელიც წესიერი და სიმპათიური კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს), რატომ უნდა იდგეს თბილისში არსაით მიმავალი ველოსიპედი, ვისი ნებართვით ფუნქციონირებს ასეთი სახელწოდებით ძებნილი სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა, როდემდე უნდა აუშნოვებდეს გმირთა მოედანს ბოძი, დაღუპული გმირების ხსოვნას რომ შეურაცხყოფს, და რატომ არ დაბრუნდა აქამდე ქალაქის ცენტრში საქართველოს უპირველესი გმირი – დავით აღმაშენებელი.

* * *

ერთი დარდიანი ფიქრი უკავშირდება ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთობას, საჯაროობას, გულწრფელობას. გულახდილად რომ ვთქვა, ნამდვილად მოველოდი არა კოალიციისაგან, არამედ პარტია „ქართული ოცნებისგან“, მისი საპარლამენტო ფრაქციისაგან ზოგიერთი მოვლენის ღია და გამოკვეთილ შეფასებას. მხედველობაში მაქვს პატრიარქისა და ჩვენი ეკლესიის მიმართ შეთხზული დაუშვებელი, მკრეხელური გამონათქვამები, ვინმე მურუსიძის საპელაციო სასამართლოში განწესება, საგარეჯოს შუალედური საპარლამენტო არჩევნები (სადაც აშკარად გადამეტებით იქნა გამოყენებული სახელისუფლებო რესურსი), თავდაცვის მინისტრის, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული განცხადებები და ზოგიერთი სხვა ფაქტი.

არ მიმაჩნია სწორად, როცა გუნდის ინტერესებისთვის ითელება, თუნდაც ნებაყოფლობით, კონკრეტული ადამიანის პიროვნული პრინციპები და რწმენა. ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ.

* * *

მე შევეხე მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთა არსში, ასე თუ ისე, ვერკვევი. მოსახლეობას (ე.ი. ამომრჩეველს) მრავალი სხვა პრობლემაც აწუხებს: ფასების ზრდა სამომხმარებლო საქონელზე, მედიკამენტების გაძვირება, ბიუროკრატიის შესამჩნევი ნაშთები სახელმწიფო აპარატში, დედაქალაქის ქუჩებში აუტანელი საცობები, მრავალი ახალი მშენებლობა არანაკლებ მრავალი დაუმთავრებელის გვერდით და ა.შ.

მაგრამ კატეგორიულად უნდა ვთქვა – ვერასდროს გავუგებ და ვერასდროს ვცემ პატივს იმ ადამიანებს, ვინც ქვეყნის ყოველ გაჭირვებას, თუნდაც ობიექტური მიზეზებით გამოწვეულს, ხელისუფლების ყველა შეცდომას (რეალურსა თუ გამოგონილს) დაუფარავი სიხარულით, თითქმის ზარ-ზეიმით აღნიშნავს.

ასე იქცევიან ნაცმოძრაობის წარმომადგენლები და, ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი (რა თქმა უნდა, არამთავარი) მიზეზი იქნება იმისა, რომ ეს პარტია მრავალრიცხოვან ელექტორატს ვეღარასდროს მოიძიებს. მაქსიმუმი, რასაც მიაღწევს – ისევე, როგორც სხვა ორი-სამი პარტია – იქნება მცირერიცხოვანი ფრაქცია ახლადარჩეულ პარლამენტში.

ჩემი, არც თუ მცირე ცხოვრებისეული და პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ – მიუხედავად შენიშვნების და პრეტენზიებისა – ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ დარჩება. იმისთვის კი, რომ მისი გამარჯვება არჩევნებში უფრო დამაჯერებელი იყოს, ორ რამეს ვურჩევდი:

– კოალიცია უნდა განთავისუფლდეს უცხო სხეულებისგან, ადამიანებისგან, რომლებიც ქართულად და საქართველოსათვის არ აზროვნებენ;

– „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებამდე დარჩენილ დროში შეძლებისდაგვარად უნდა გაფანტოს საზოგადოებისა და კონკრეტული პიროვნებების დარდიანი ფიქრები.

არ მიმაჩნია სწორად, როცა გუნდის ინტერესებისთვის ითელება, თუნდაც ნებაყოფლობით, კონკრეტული ადამიანის პიროვნული პრინციპები და რწმენა. ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ.

ავთანდილ საყვარელიძე

ალიან-ჩალიანი

ზაუტაშვილს ადვოკატი ვურჩიე და არა ავუყვანე...

თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მანანა კობახიძეს სოციალური ქსელის მეშვეობით მიმართავს.

„გაცხარებულ და გაწიწმატებულ მანანა კობახიძეს გადაეცით, რომ მსჯავრდებულ ანასტასია ზაუტაშვილს, მისი არაერთგზისი სატელეფონო ზარისა და თხოვნის შემდეგ შევხვდი. მარტივი გადასამოწმებელია ეს ფაქტი. კვალიფიციური, წესიერი და სინდისიერი ადვოკატის შერჩევაც ანასტასია ზაუტაშვილმა პირადად მთხოვა. სათაური გავრცელებულ ინფორმაციაში არაზუსტი იყო – მე მსჯავრდებულს ადვოკატი ვურჩიე და არ ამიყვანია.

ხელფასზე დამოკიდებული კაცი ვარ და მაგდენი რომც მინდოდეს, არც შემიძლია, უბრალოდ ერთი გულიანი, გულმოდგინე და სინდისიერი ადვოკატი ვურჩიე. ისეთი, ვინც მას არც ფულს გამოსძალავს და არც პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენებს. ასე რომ, ქალბატონო მანანა, სანამ რამეს იტყოდეთ, გირჩევთ ჯერ გადაამოწმოთ და ისე დაწეროთ სოლმე.

ვიცი, მძიმე დღეში ხართ, ვიცი, ანასტასია ზაუტაშვილთან ჩემმა შეხვედრამ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგაგდოთ, მაგრამ მაინც მოთოკეთ თავი. თორემ ხომ ხედავთ, რამდენ შეცდომას უშვებთ. ეს შეცდომები კი ყოველ ჯერზე ძვირად გიჯდებათ. ისიც იცოდეთ, რომ მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან“, – წერს ალეკო ელისაშვილი სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, რომ შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ალეკო ელისაშვილმა მსჯავრდებული ანასტასია ზაუტაშვილი 22 იანვარს, რუსთავის ქალთა საპატიმროში მოინახულა.

ელისაშვილი უკვე ფატალურ შეცდომებს უშვებს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილის მსჯავრდებულ ზაუტაშვილის მონახულებასთან დაკავშირებით, კითხვები აქვს. Facebook-ის საკუთარ გვერდზე დეპუტატი ელისაშვილის მიმართ გაჩენილ 7 კითხვას აქვეყნებს.

„გუშინ არ მეცალა მასხარადქცეული ელისაშვილის განცხადებას გამოვხმაურებოდი. ღირს კი? უკვე ხომ ყველაფერი თავადვე აღიარა, რომ წინასწარ-დაგეგმილი დანაშაულებრივი ცილისმწამებლური კამპანია წამოიწყო. თავადვე გაიხლართა ამ სცენარში. რამდენიმე მარტივი კითხვა: 1. რა სტატუსით შევიდა მოწმე ელისაშვილი მოწმე ზაუტაშვილთან? 2. რატომ საჯაროდ არ განაცხადა ამის თაობაზე? 3. რატომ შესთავაზა მისი სასურველი ადვოკატი პატიმარ ზაუტაშვილს, როდესაც მას ჰყავს უკვე ადვოკატი (ელისაშვილს არ მოსწონს ადვოკატის განცხადებები)? 4. რას და რატომ დაპირდა ელისაშვილი ზაუტაშვილს? 5. მოწმე (ამ ეტაპზე) მოწმეს სასურველი ადვოკატის აყვანას სთავაზობს საჯაროდ და არის თუ არა ეს ღია უკანონო ქმედება? 6. რა სტატუსით უნდა დაეხმაროს უკვე ყოფილი კომისიის თავმჯდომარე მსჯავრდებულს, ძველი „მეგობრების“ იმედად? 7. ახლა შეაწუხა „სინდისმა“ იმ პატიმრების გამო, ვინც თავისი ცილისწამებით და ტყუილებით გაწირა? ყველა ამ და სხვა კითხვაზე პასუხი ცნობილია! ფაქტია, უკვე იმდენად გაეხლართა საკუთარ ტყუილებში ეს ყველაფრის მკადრებელი ბიჭი, რომ ასეთი ფატალური შეცდომა დაუშვა!“, – წერს ბესელია სოციალურ ქსელში.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ეშველება ზღვისპირა ზოლს?

შეკვლება ბათუმის ბულვარის

1878 წელს, როდესაც აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ბათუმში დაჩქარებული ტემპით დაიწყო ნავსადგურის მშენებლობა, რასაც, თავის მხრივ, ბათუმის ქალაქის ტიპის დასახლებად გადაქცევა და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებაც მოჰყვა. ფაქტობრივად, ნავსადგურიდან დაიწყო ქალაქის დაგეგმარება. სწორედ ნავსადგურის გაგრძელებაზე გადაწყდა ბულვარის მოწყობა. 1881 წელს აქტიურად დაიწყო აქ სამშენებლო მოქმედებანი. ბათუმის ბულვარის დასაგეგმარებლად და სამუშაოთა საწარმოებლად მოიწვიეს ევროპაში იმ დროის ცნობილი გერმანელი სპეციალისტი რესლერი და ფრანგი დ. ალფონსი. ბულვარი დააგეგმარეს როგორც ფრანგული ტიპის. უფრო გვიან უცხოელი სპეციალისტების ადგილი ევროპაში სწავლამიღებულმა ქართველებმა დაიკავეს. ესენი იყვნენ აკაკი ხოშტარია, ილია ლიონიძე, პავლე ნადარეიშვილი, იასონ გორდეზიანი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ბათუმში ჩამოსვლამდე ვერსალში მუშაობდა მებაღედ, მაგრამ როდესაც საქართველოდან შეატყობინეს ბათუმის ბულვარი შენდება და უნდა ჩამოხვიდეო, დაუფიქრებლად დაბრუნდა სამშობლოში. ბათუმის ბულვარის დაგეგმარება-განვითარებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი არქიტექტორ კახა ჯავახიშვილს, რომელსაც ეკუთვნის ბათუმის სამხატვრო გალერეის შენობის არქიტექტურაც.

ბულვარის საბოლოო დაგეგმარება 1950 წელს დასრულდა. ფაქტობრივად, მაშინ ჩამოყალიბდა ის სახე, რაც მას დღემდე აქვს. თუმცა, სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა მისი გაფართოება. მაგალითად, თავად მე და ჩემი თაობის ბათუმელები ვმონაწილეობდით მესამე ალეის განვითარების სამუშაოებში — უნივერსიტეტის წინ ზღვის დატოვებულ ქვიშნარზე ვყრიდით მიწას, ვრგავდით მწვანე ნარგავებს და ვზრუნავდით მათს გახარებაზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს მაშინდელმა აჭარის კულტურის სამინისტრომ არაერთხელ დააყენა საკითხი ხელისუფლების წინაშე, რომ ბულვარს მინიჭებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მე ამ დროს კულტურის მინისტრის მოადგილე გახლდით და კარგად ვიცი მაშინდელი პროცესები. თუ ბულვარს ისტორიული ძეგლის სტატუსი მიენიჭებოდა, მაშინდელი ძლიერნი ამა ქვეყნისანი იქ თავიანთ ინტერესებს ვეღარ განახორციელებდნენ. ეს კი ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. უფრო მეტიც, ეს ის პერიოდია, როცა ბულვარი ქალაქის მერიას ჩამოართვეს და ბათუმის ნავსადგურს დაუქვემდებარეს. ჰოდა, ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა. ამას შეეწირა უნიკალური საზაფხულო თეატრი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხისგან აშენდა. ეს შენობა ხანძარმა გაანადგურა, რაც დარწმუნებული ვარ, შემთხვევით არ მომხდარა. მის ადგილას კი აჭარის მაშინდელმა მამებმა ფანერის... პირამიდა ააგეს, აქაოდა კოსმოსური ენერგიის აკუმულირება მოხდება და ხელისუფლება უკეთ მოახერხებს ავტონომიური რესპუბლიკის მართვასო.

90-იან წლებში არავინ ისმინა ქალაქის საზოგადოების ღაღადი და დაანგრიეს „ოფიცერთა სახლის“ ულამაზესი, ასევე ხის შენობა. ამ შენობაში, სადაც თავის დროზე ბათუმის ხმოსანთა არჩევნები მიმდინარეობდა, თვით ილია ჭავჭავაძე იყო დამკვირვებლად. ის კი არადა, ბათუმის ნავსადგურის შუქურას სხვა ადგილას გადატანაც იგეგმებოდა, თუმცა იმის გამო, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციები ამის წინააღმდეგ წავიდნენ, ამ გეგმაზე მაშინ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი აიღო. სამაგიეროდ, მემედ აბაშიძის პროსპექტზე ღამით დაანგრიეს ის სახლი, სადაც ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ვოლსკი ჩერდებოდნენ ბათუმში სტუმრობისას. ბულვარი მუდამ იყო სხვადასხვა სახელისუფლო თუ კლანური დაჯგუფებების ინტერესის საგანი. **ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა. ბათუმელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ბულვარში გაჩენეს ასწლოვანი ხეები და მის ადგილას ტექნიკური უნივერსიტეტის შენობის მშენებლობა დაიწყო. გამსახურდიას და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთასთან აიგო „ნიჟარა“, რომელიც ზღვის ხედს კეტავს და არც ფერადი მუსიკალური შადრევნების მშვენიერება ჩანს ქალაქიდან. ამას დაუმატეთ ის, რომ ნიჟარასა და ზღვას შორის აშენდა „პიერ ბათუმის“ სავაჭრო ობიექტი, რომელმაც ამ უმშვენიერეს ადგილას ბათუმელებს და ჩვენს სტუმრებს ზღვის ხედი წაართვა. უფრო მეტიც, ეს შენობა უნებართვოდაა აგებული. სასამართლოს დადგენილებაცაა მის დემონტაჟზე, მაგრამ, როგორც ბათუმელები ამბობენ, იგი რეალურად თურქებს ეკუთვნით და არც წინა ხელისუფლება და არც ახლანდელი მის აღებას არ ჩქარობს. ბათუმის ბულვარს, მძიმე დარტყმა მიაყენა წინა ხელისუფლებამ, როდესაც შავ ზღვაზე ულამაზესი საფეხბურთო სტადიონი გაყიდა და დიდი სპორტული ისტორიის ბათუმის „დინამო“ დღემდე უარენოდაა დარჩენილი. ამ ქვეყანას პატრონი რომ ჰყავდეს, დღესვე მოიკითხავდა, რა ფასად გაიყიდა და ვინ იყიდა ბათუმის სტადიონი. აი, მაშინ გამოჩნდება, ვინ რა ზიანი მიაყენა ქვეყანას და ნაცებიდან ვინ ეკურკურებოდა რუსეთის მაღალჩინოსნებს.**

2008 წელს ბათუმის ბულვარი საქართველოს ისტორიული ძეგლების ნუსხაში შევიდა, რასაც ბათუმელები მიესალმნენ, ვიფიქრეთ, გვეშველა, აწი ვისაც როგორ მოუნდება ბულვარში ისე ვეღარ იბოგინებსო. თურმე მოვტყუვდით. ბათუმში ახლანდელი სკანდალი მაშინ ატყდა, როცა გასული წლის ბოლოს, უნივერსიტეტის შენობაში ბულვარის კონცეფციის განხილვა შედგა. დაპირისპირება ბულვარის შუა ალეის გაუქმებისა და მისი შენარჩუნების მომხრეებს შორის იქამდე მივიდა, რომ კაი გვარიანი ცემა-ტყეპა გაიმართა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ დავით ბაციკაძეს და მოქალაქე ჯემალ ქიქავას შორის.

გაირკვა, რომ კონცეფცია კონცეფცია კი არ არის, პროექტია, რომელიც შუა ალეის ადგილას სხვა ტიპის განაშენიანებას და ახალ სავაჭრო, კვებისა და სხვა ობიექტების აშენებას ითვალისწინებს. ჰოდა, ძაღლის თავიც აქაა დამარხული. **როგორც გაირკვა, ახლა ბულვარში არსებული კაფეები, რესტორნები, სავაჭრო ობიექტები უნდა აიღონ და ახლებით ჩაანაცვლონ.** როგორც ამბობენ , ახლების მეპატრონეები ახლანდელ ხელისუფლებასთან, ანუ „ოცნებასთან“ დაახლოებული პიროვნებები არიან. ესე იგი, წინა ხელისუფლების მიერ ხელდასხმულ ბიზნესს, ახლანდელები ჩაანაცვლებენ. იქნებ ასეც არაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, შიშს დიდი თვალები აქვს და ბათუმელებიც შეშინებულები შეჰყურებენ მოვლენების განვითარებას.

ჩვენ, ბათუმელებმა, კარგად ვიცით, ვინ მოჰყვა ნაციონალების ტალღას ბათუმში, მათი წყალობით ვინ აიშენა ბულვარში ობიექტები და ვინ დახვდა მათ იქ. იმ ხალხიდან, ვინც ოთხი ათეული წელია ბულვარში მუშაობს, არც ერთი არაა აქ მხოლოდ საშოვარზე მოსული და სხვაგან გამქცევი. ისინი ამ ქალაქსა და ბულვარს ისე არიან შერწყმული, რომ მათი უერთმანეთოდ ყოფნა ძნელი წარმოსადგენია. ერთი მათგანია ახმედ ძნელაძე, ბულვარში არსებული რესტორნის მეპატრონე.

ახმედ ძნელაძემ „საქართველოს რესპუბლიკასთან“ საუბარში განაცხადა: **ათასობით ხელმოწერა შეგროვდა იმის თაობაზე, რომ ბულვარის სახე არ შეიცვალოს. პირადად მე და ჩემი ბევრი კოლეგა ოთხ ათეულ წელზე მეტია, ვემსახურებოდით ბულვარს. თავის დროზე მე ერთი პატარა ჯიხური და რამდენიმე მაგიდა მქონდა აქ. ამ ორმოცი წლის განმავლობაში მე და ჩემს ოჯახს რაც შემოსავალი გვქონია, აქ ჩავდე და თანამედროვე კაფე ავაშენე. მე ამით მარტო ჩემთვის კი არ ვზრუნავდი, არამედ ჩემს ქალაქზე, ჩვენს სტუმრებზე. ჩვენ სხვებზე არანაკლებ ვეწევით ქვეყნისა და ბათუმის პოპულარიზაციას. ჩვენს მხრებზე გადაიარა საბჭოურმა პერიოდმა, სამოქალაქო ომმა. სხვადასხვა სახელისუფლებო ცვლილებებმა. ჩვენ კეთილსინდისიერად ვემსახურებოდით ქვეყანასა და ბათუმს. ვინც ახლა ბულვარში ვსაქმიანობთ, 900 ადამიანი გვყავს დასაქმებული. ისინი და ჩვენ ერთად ვეწევით ჭაპანს. მართალია, სამუშაო სეზონურია, მაგრამ ეს ხალხი ამ გზით ახერხებს ოჯახების მთელი წლით შენახვას. ბულვარში არსებული მწვანე ნარგავები იგივე ჩვენი სულის ნაწილია, მათს გახარებასა და მოვლაზე სხვაზე ნაკლები ენერგია არ დაგვიხარჯავს. დღეს აქ არსებული კაფე-ბარების გარეშე ბულვარი ის არ იქნებოდა, რაც არის. ჩვენი პროფესიონალიზმი, ქართული სტუმარმასპინძლობა, ჩვენებური კერძები, ბათუმური სითბო და მოფერება, აი რაც მოსწონთ და აღაფრთოვანებს ჩვენიანს თუ უცხოელ ტურისტებს. ბულვარი და მისი ინფრასტრუქტურა ისეთივე უნდა დარჩეს როგორიც ახლაა. თუ ვინმეს იდეები აწუხებს, მათს განსახორციელებლად არის ახალი ბულვარი. ადგნენ და იქ ჩაატარონ ექსპერიმენტები, იქ ხომ ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ჰოდა, ადგნენ და გააკეთონ, რაღა გაკეთებულს ანგრევენ.**

ბათუმის ბულვარი. მე-19 საუკუნის 80-იანი წლები.

დანგრევას რომ მეტი ხარჯი დასჭირდება, ეს ფაქტია. როგორც ამბობენ, თუ დღეს ბულვარში არსებულ კაფე-ბარებსა და სხვა ობიექტებს აიღებენ, ბიუჯეტიდან მათს ასანაზღაურებლად მეპატრონეებს მილიონობით ლარი უნდა გადაუხადონ, იმ ბიუჯეტიდან, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებას. სახელდება ერთი ობიექტი, რომლის მფლობელსაც ათ მილიონამდე ლარი უნდა გადაუხადონ.

სამწუხაროდ, კონცეფციის პროექტი ისე შეადგინეს რომელიღაც კაბინეტებში, რომ არც ტენდერი გამოცხადებულა და არც კონკურსი. არც სხვადასხვა დარგის სპეციალისტი მოუწვევიათ. **ბათუმელებს კი ვინ ეკითხება სად, რა და ვინ უნდა გააკეთოს მათს ქალაქში. ჰოდა, კიდევ იტყვის ვინმე, „ოცნება“ არ ჰგავს ნაცებსო? რასაც მიშა გააკეთებდა ბათუმში თავის ჭკუაზე, იმავეს აკეთებს ახლანდელი ხელისუფლება!** მე არაერთ ბათუმელს ველაპარაკე ბულვარის პრობლემაზე. ყველა, დიდი და პატარა ერთი აზრისაა, თუ რამე უნდა შეიცვალოს, მხოლოდ საფუძვლიანი განსჯისა და განხილვის შემდგომ.

ბათუმში პერმანენტულად იმართება აქციები ბულვარში მოსალოდნელი ცვლილებების წინააღმდეგ. შეკრებილები ითხოვენ შეწყდეს შუა ალეაში მიმდინარე სამუშაოები. ახლა იქაურობა გადათხრილია, ფილები — აყრილი და მძიმე ტექნიკა მუშაობს. საზოგადოების აგრესია მიმართულია ბათუმის მერიის, მთავრობის, განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სააგენტოს, რომელმაც სამუშაოების დაწყების ნებართვა გასცა, და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების წინააღმდეგ. ზემოთ გავიხსენე, ასლან აბაშიძის ხელისუფლების დროს როგორ გადასცეს ბულვარი მმართველობაში ბათუმის პორტს. ახლა კი იგი მმართველობაში ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქვს გადაცემული. ბევრი ვეცადე გამეგო, რატომ და ვისი ინიციატივით ჩამოერთვა ქალაქის მერიას ბულვარის მართვა თუ განკარგვა და რატომ გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. გონივრული არგუმენტირებული აზრი ვერ მოვისმინე, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას — თბილისს ამ გზით უფრო გაუადვილდება ვიღაც-ვიღაცების ბიზნესინტერესების დაკმაყოფილება.

ახალი წლის დადგომის შემდგომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბათუმიდან ორი ღია წერილი დაიბეჭდა ბულვართან დაკავშირებით. ერთი — 8 ათასი ხელმომწერის სახელით, მეორე — იმ ბიზნესმენებისა, რომლებიც ბულვარის ტერიტორიაზე საქმიანობენ. საპროტესტო აქციებში აქტიურად არიან ჩართული ვეტერანი ბათუმელები — საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი. მისი ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი და ფრაქციის თავმჯდომარე **თამაზ ცინცაძე** დღეს ჩვენი სტუმარია.

— აჭარის ხელისუფალის, მთავრობის თამჯდომარის გამონათქვამები ემსგავსება ანდაზას „ძაღლი ყეფს ქარავანი მიდის“. „ყვითელ პრესაში“ თუ, საერთოდ, მასმედიით გაშუქებული საკითხებისადმი რეაგირებას რომ საზოგადოება ვერ გრძნობს, ეს უკმაყოფილებას იწვევს და აგდებულ დამოკიდებულებად მიიჩნევა.

„საზოგადოების ჩართულობის ცენტრში“ შეკრებილმა უხუცესებმა, რომლებიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოსაქვეყნებელ ღია წერილს ეცნობოდნენ, სხვა ბევრ საკითხთან ერთად ისიც აღნიშნეს, რომ აჭარის ხელისუფლებისადმი ცენტრის გადაჭარბებული მეურვეობა ზოგჯერ შინაურ საკითხებში გადაჭარბებული ჩარევაა. პრობლემადაა ქცეული უფლებათა ცენტრიდან პერიფერიისთვის გადმოცემა. არა მგონია, უადგილო იყოს, თუ ორიოდე წლის წინანდელ მაგალითს გავიხსენებთ, როცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგეობის ხელმძღვანელობა წინასწარ პატიმრობაში აჰყავდათ, ამის შესახებ ადგილობრივმა მთავრობამ არაფერი იცოდა. ეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ტელევიზიით გაიგო. არა მგონია, ეს ნორმალური პროცესი იყოს. არის სხვა საკითხები, რომელთა ანალიზი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ აჭარის ხელისუფლებას ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული უფლებები, ან კიდევ ისინი თავად უნიათონი არიან.

ახლა ძირითად თემას დავუბრუნდეთ, რომელიც ბათუმის ზღვისპირა პარკის რეკონსტრუქციასა და მისი იმ სახით შენარჩუნებას უკავშირდება, რაც დღეს აქვს. თავის დროზე, როცა ახალგაზრდა ვიყავი (ახლა ოთხმოც წელს მიღწეული ბათუმელი გახლავართ), არა მარტო მე და ჩემი მეგობ-

დაბაქცევართა სამარცხვინო სია?

რები, არამედ ბათუმის ახლომახლო სოფლებიდან მოწვეული ახალგაზრდებიც უსასყიდლოდ ვმუშაობდით ბულვარში მიწის შეტანაზე, ხეების დარგვაზე, გაზონების მოწყობაზე თუ სხვა სამუშაოებზე. მართებულად არ მიმაჩნია, რომ ვიღაცამ გადაწყვიტოს ჩვენი თავნაკლავი ბულვარის თავის ჭკუაზე გადაწყობა ისე, რომ ჩვენ ამის შესახებ არც კი შეგვეკითხოს.

ჩვენ ხელს კი არ ვუშლით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს ქალბატონ მირანდა ჩარკვიანს, ჩვენ წინააღმდეგი ვართ ზღვისპირა პარკის დამახინჯებისა. მას მოვუწოდებთ, დაიცვას ისტორიული ღირებულებები. ამ საქმეში ჩვენ, ბათუმში დაბადებული და უკვე ხანდაზმული ადამიანები მის გვერდით ვდგავართ, როცა იგი ბათუმელთა ინტერესებს ეხება, მაგრამ ჩვენში უარყოფით ემოციას იწვევს, როცა იგი გაიძახის, რომ 2004 წლიდან ბათუმში ცხოვრობს და არავისზე ნაკლები ბათუმელი არ არის. მისასალმებელია, რომ დღეს ბევრი ბათუმელობს და აქაურელობას იჩემებს, მაგრამ მათ ვურჩევდი, კარგი იქნება, ქვეყნის ინტერესებთან ერთად ჩვენი მხარის ტრადიციებსაც პატივი მიაგონ, არა მგონია, ბატონი გეგუჩაძის აჩემებას და უფლებების გადაჭარბებას ჰქონდეს გამართლება. ამ განცხადებას სეპარატიზმად და გადაცემა. ამ იდეის უკან, თუ ცენტრალური ხელისუფლების ინტერესები დგას, ეს მათ არ ალამაზებთ.

იმედია, ჩვენთან ერთად აჭარის ხელისუფლებამაც მოისმინა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გაკეთებული განცხადებები, როცა საქართველოს მთავრობის ახალ შემადგენლობას ამტკიცებდნენ. მხედველობაში მაქვს ფრაქციის თავმჯდომარის, დეპუტატ გოგი თოფაძის განცხადება, რომელმაც ძალიან კარგად წარმოაჩინა, დასავლეთ საქართველოში როგორ ნადგურდებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი – ჩაის და ციტრუსის პლანტაციები, როგორ განიავდა ჩაის ფაბრიკები, სადაც უცხოეთის ინტერესებზე დაფუძნებული პერანგებისა და სხვა ტანსაცმლის სამკერვალო ფაბრიკები გაიხსნა. სადაც ქართველი ქალები მიზერულ ანაზღაურებად შრომობენ. ისინი უცხოელებისგან პროტესტის ნიშნად პასუხად ისმენენ „თუ 200-300-ლარიანი ანაზღაურება არ გაწყობთ, შეგიძლიათ მიბრძანდეთო“. ამის შემდეგ, რაზეც მე ახლა ვილაპარაკე, ეს ყველაფერი ჩვენი სატკივარია, ამ სატკივარს კი ჩვენმავე ხელისუფლებამ უნდა უმკურნალოს.

ბატონი თამაზ ცინცაძისა და ბევრი სხვის გასახარებლად მინდა მოვიტანო აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის განცხადება, რომელიც მან ტელევიზიით გააკეთა 23 იანვარს – **„გავითვალისწინეთ რა საზოგადოების პროტესტი ბულვარის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, აღარ განხორციელდეს ის კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილი იყო. რაც შეეხება ბულვარში ახლა მიმდინარე სამუშაოებს, იგი მალე დასრულდება და შუა ალეა აღდგება პირვანდელი სახით, დაიგება ფილები.**

კარგი დაგემართოთ, თუ ეს ასე იქნა და ხელისუფლებამ დანაპირები არ გადათქვა, თუ არჩილ ხაბაძემ მოახერხა და იმ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებსაც ბათუმის ბულვარის ხელში ჩაგდება სურთ, თავისი არ გაატანინა და ბათუმელების მხარე დაიჭირა, ეს მარტო მის რეიტინგს კი არ აამაღლებს, არამედ მთლიანად აჭარის მთავრობის ავტორიტეტსაც. მით უმეტეს, რომ ავტონომიის საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც ისედაც დაბალი რეიტინგი აქვს ამომრჩევლებში, დუმს. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, მისი ზოგი დეპუტატის წყალობით, რომელიც „კონცეფციას“ მხარს უჭერს, აჭარის მოსახლეობის თანადგომას კიდევ უფრო კარგავს. ამის ნათელი დადასტურებაა დეპუტატსა და მოქალაქე ჯემალ ქიქავას შორის გამართული მუშტი-კრივი.

ბულვარში მიმდინარე პროცესები პოლიტიზებული რომ არ ყოფილიყო, საპროტესტო აქციათა საინიციატივო ჯგუფმა ამის თაობაზე თავიდანვე გააკეთა განცხადება. თუმცა აქციებზე პოლიტიკოსებს მისვლას არავინ უკრძალავს. რაც მე დავინახე, ყველაზე უფრო ნაციონალები აქტიურობენ. გასაკვირი ისაა, რომ ზოგი პარტია, თავი ქვეყნის პატრიოტად და გადამრჩენლად რომ მოაქვს, საერთოდ არ ჩანს აქციებზე და არც რაიმე განცხადება გაუკეთებია, ალბათ, უცდიან, სიო საიდან დაბერავს. იქამდე კი ირწევიან, ვითარცა ლერწამნი ქარში.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება ჩემი და ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის გიორგი კირთაძის საუბრის ჩანაწერი, რომელიც სრულად იბეჭდება.

– ბატონო გიორგი, რა ხდება ბათუმის ბულვართან დაკავშირებით?

– ამის გარკვევას ვცდილობთ, თუმცა რთული გამოდგა. ბულვარი მმართველობაში აჭარის მთავრობას აქვს გადაცემული. 2014 წლის, თუ არ ვცდები, 27 აპრილის ბათუმის საკრებულოს განკარგულებით აჭარის მთავრობას აღარ ჰქონდა უფლება, განეკარგა ბათუმის ბულვარი, რადგან საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იგი დაბრუნებოდა ბათუმის გამგეობას მმართველობაში. თუმცა ეს გადაწყვეტილება აჭარის მთავრობის თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის და ბათუმის მერის გიორგი ერმაკოვის მიზეზით დღემდე არ შესრულებულა. სწორედ ესაა იმ ქაოსის მიზეზი, რაც დღეს ტრიალებს. ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ბულვარში სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემის იურიდიული უფლება არა აქვს, რადგან ეს ობიექტი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, მთავრობას კი მხოლოდ მისი მართვის უფლება აქვს გადაცემული. ვიმეორებ, იქ სამუშაოების წარმოების უფლება ქალაქის მუნიციპალიტეტის ნებართვის გარეშე არავის არა აქვს. როგორც ქალაქის მერი გიორგი ერმაკოვი აცხადებს, მას ასეთი ნებართვა გაცემული არა აქვს. იგი ამბობს, რომ მას ალეის გაუქმებაზე ნებართვა არ დაურთავს არავისთვის. ალეის გაუქმება კი ძირეულად ცვლის კულტურული მემკვიდრეობის ამ ძეგლის იერსახეს. თუ ეს ასეა, მაშინ ფაქტია, რომ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან, რაც აჭარის მთავრობამ, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ჩაიდინეს.

კარგა ხანია, ვითხოვთ საკრებულოს სხდომის მოწვევას, რომელზეც ბულვარის საკითხზე გვექნება მსჯელობა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არა და არ გვეძლევა. ახლა ხაბაძე აცხადებს, რომ მას უნდა ალეას ძველი სახე დაუბრუნდეს, მაგრამ რაღაც სამართლებრივი პრობლემები და ნორმები უშლის ხელს, ეს სისულელეა და ამას არავინ არ დაიჯერებს. მდგომარეობიდან გამოსავალი ერთია – ბულვარი მმართველობაში უნდა დაუბრუნდეს ბათუმის მუნიციპალიტეტს, მერიას, საკრებულოს და ამის შემდეგ ქალაქის საზოგადოებრიობასთან ერთად გადაწყდეს მისი მომავალი.

– ბოლო პერიოდში „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბათუმიდან ორი ღია წერილი გამოქვეყნდა, ერთში გაიჟღერა აზრმა იმის თაობაზე, რომ აქ არსებული რესტორნები, კაფეები და სხვა აღებულ უნდა იქნას, მეორეში კი ბათუმელი მეწარმეები ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. რა როგორ გადაწყდება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მე თქვენთან ასეთი შეკითხვა მაქვს, პირადად თქვენ საკრებულოს წინა მოწვევის დეპუტატიც იყავით და ახლაც დეპუტატი და ფრაქციის თავმჯდომარე ხართ, მაშინ, როცა თქვენ იყავით ხელისუფლებაში, ბათუმის ბულვარში უნებართვოდ აშენდა „პიერ ბათუმის“ საკმაოდ დიდი და მრავალპროფილიანი სავაჭრო და კვების ობიექტი, რომელსაც საკუთარი, ზღვაში შეჭრილი „ნავმისადგომი“ აქვს. მე ახლა რომ ავიღო ერთი ცალი აგური, შევიტანო ბულვარში და სადმე დავდო, იმ წუთას დამადგებიან თავზე, იმ აგურსაც ზურგზე მომდებენ და კაი გვარიან ჯარიმასაც მომაკერებენ უნებართვო მშენებლობის მცდელობისათვის. ამხელა შენობა რომ აშენდა თქვენ თვალწინ, სად იყავით მაშინ? კიდევ ერთი საეჭვო გარემოება, რამდენადაც ინფორმაცია ვრცელდება, „პიერ ბათუმის“ დემონტაჟის თაობაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არ სრულდება, რატომ დუმან ამის თაობაზე ბათუმის მერია და საკრებულო?

– ორი შეკითხვაა ერთად დასმული, დავიწყებ „პიერ ბათუმით“. ფაქტია, რომ ბულვარში ეს შენობა აიგო, ისიც ფაქტია, რომ ეს იმ დროს მოხდა, როცა ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში და იგი სათანადო ნებართვის გარეშეა აშენებული. მინდა განვაცხადო, რომ ეს ჩვენი დიდი შეცდომა იყო. როგორც მახსოვს, მაშინ ყველა სათანადო ნებართვა სამშენებლო კომპანიამ დროულად ვერ აიღო, ისე დაიწყო სამუშაოები. მერე არჩევნები წავაგეთ და აღარც ხელისუფლებაში ვიყავით. რამდენადაც ვიცი, საქმე პროკურატურაშია, ძიება მიმდინარეობს. ახლა მე ვსვამ კითხვას, **ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც ჩვენ ჩაგვანაცვლა, რატომ არ აღადგინა სამართლიანობა? რატომ არ მოახდინა ამ ობიექტის დემონტაჟი? რატომ არაფერი არ გააკეთა დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით?** უფრო მეტიც, ახლანდელმა ხელისუფლებამ, რომელმაც წარმოადგინა ბულვარის ახალი კონცეფციის პროექტი, გადაწყვიტა ეს ობიექტი დარჩეს, ხოლო სხვა ყველა დანარჩენი უნდა აიღონ. არ გაოცებთ ეს ფაქტი?

– კი, მაოცებს და თანაც ძალიან. წარმოიდგენია, ბულვარში დღეს არსებული სავაჭრო და კვების ობიექტების აღების სანაცვლოდ მათ მეპატრონეებს რამდენი მილიონი ლარი უნდა გადაუხადოს ხელისუფლებამ ბიუჯეტიდან.

– მართალი ხართ, ლაპარაკია ძალიან დიდ ფულზე. აქვე მინდა გითხრათ, რომ არ მჯერა, ხაბაძეს არ მოსწონდეს ბათუმის ბულვარი და კონცეფციაც მისი ნაფიქრალ-ნააზრევი იყოს. მე ვფიქრობ, აქ ხაბაძეზე ბევრად დიდი თანამდებობის პირები თუ არაფორმალური მმართველები არიან დაინტერესებული ბულვარის რეკონსტრუქციით.

ჩემი აზრით, ხდება შემდეგი: ბათუმის ბულვარი არის მსუყე ლუკმა. აქ დიდი ფული ტრიალებს. განლაგებული ობიექტებიდან შემოსავალი მოკლე დროში, შესაბამის ობიექტებთან შედარებით მთელ საქართველოში, ყველაზე დიდია. შესაძლებელია მცირე დროში დიდი მოგების მიღება. სწორედ ამიტომაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ვერ გაუძლეს ცდუნებას და ბათუმის ბულვარის ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. მიზანი ასეთია: დღეს ბულვარში არსებული ობიექტები, რომლებიც თურმე არ შეესაბამება აქაურობას, უნდა აიღონ, მოსპონ და რეკონსტრუირებულ ბულვარში მათს მაგივრად, განალაგონ ახალი, ფაქტობრივად, იმავე დანიშნულების შენობები და ამ გზით გაიკეთონ დიდი ფული. ამას სხვა ახსნა არა აქვს. ხაბაძე აქ არაფერ შუაშია, მას ვიღაც-ვიღაცები ავალებენ, აქაურობა გაწმინდოს არსებული რესტორან-კაფეებისგან. ამით კი დამკვეთებს საშუალება მიეცემათ, ახალი ააშენონ, რითაც დიდ ფულს იშოვიან. დარწმუნებული ვარ, აქ ახალ რესტორნებს და კაფეებს მხოლოდ ისინი ააშენებენ, ვინც დღეს ქვეყანას მართავს.

მხოლოდ დღევანდელი დღით მცხოვრებნო, ხვალინდელისკენაც გაიხედეთ!

ბულვარის ხედი დღეს.

P. S. ბათუმის ბულვარის იერსახის ისე ძირეულად შეცვლა, როგორც ეს ამ უმწიფარი „კონცეფციის“ ავტორებმა შემოგვთავაზეს, თვით სააკაშვილსაც კი არ მოსვლია თავში. ასე რომ, პირადად ვერავინ დამაჯერებს, თითქოს ამ „ისტორიული ცვლილებების“ ავტორები ხაბაძე, ბაციკაძე, აჭარის ეკონომიკის მინისტრი ჩარკვიანი, ან კიდევ ვინმე გეგუჩაძე არიან. ამათ ვინ ეკითხება მაისის ბალი რა ღირს, ხუთი შაური თუ გაუფასურებული ლარი? თუ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ნათქვამი საქმედ აქცია, ბარაქალა მას – მარტო ამით შევა ისტორიაში და ესეც ეყოფა.

2000 წელს გამოვიდა ბათუმის ყოფილი მერის, მწერლის, არქიტექტორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის თეიმურაზ კომახიძის წიგნი „ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია“. როცა ეს წიგნი იწერებოდა, მაშინ ბატონი თეიმურაზი აჭარის კულტურის მინისტრი იყო, მე კი – მისი მოადგილე. ამდენად, ხელი მიმიწვდებოდა იმ უზარმაზარ ფაქტობრივ მასალაზე, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ნაშრომს. კარგად ვარ გათვითცნობიერებული, ვინ და როდის აზარალა ბათუმი და, კერძოდ, ბულვარი. როცა ამაზე წერს, ავტორი აღნიშნავს: „სამწუხაროდ, განაშენიანების საძმეში იმდენი შეცდომაა დაშვებული, ყველას ჩამოთვლა, ალბათ, ძალზე შორს წაგვიყვანს. ერთი რამ კი ცხადია, რომ მსგავსი დანაშაულს ბათუმის მიმართებაში მხოლოდ ისინი ჩაიდენენ, რომელთაც ჩვენი ძალაძის გედიღბალი არანაირად მიაჩნიათ. ასეთი ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობენ და იმას კი არ საზღვრავენ, რომ მომავალში ისინი ჩვენი შთამომავლობის წყევლა-კრულვას დაიმსახურებენ.“

აბა, თქვენ იცით ახლა, ვინ შეავსებს ბათუმისა და მისი ბულვარის დამაქცევართა სამარცხვინო სიას. პირობას გაძლევთ, შთამომავლობას არ დავუკარგავთ თქვენს გმირულ საქმეებს.

ამირან კილურაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის რეგიონალური საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **ბიოფიზიკის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ბიოქიმიის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ბ“კატეგორია;
- **მემბრანოლოგიის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ნეიროტოქსიკოლოგიის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ნეიროფიზიოლოგიის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ბ“კატეგორია;
- **რადიობიოლოგიის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის განყოფილება**–განყოფილების გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ბიოინფორმატიკის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ბ“კატეგორია;
- **მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ტკივილის და ანალგეზიის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია;
- **ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია**–ლაბორატორიის გამგე–მთავარი მეცნიერ თანამშრომელი „ა“კატეგორია.

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამისი პროფილით, გააჩნია სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

კალენდარული ავტობიოგრაფია (CV), მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;

დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (სრული სია);

სამეცნიერო ნაშრომების/სტატიების ან სხვა დოკუმენტების ასლი, რომლებიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ სამეცნიერო მიღწევებს.

შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის დოკუმენტაცია (სურვილისამებრ).

6. ღია კონკურსის საფუძველზე ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის გამგეს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას.

7. საბუთები მიიღება ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, კანცელარია.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2016 წლის 29 იანვრიდან 2016 წლის 8 თებერვლის ჩათვლით.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2016 წლის 15 თებერვალს.

10. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, კანცელარია.

e-mail - secretary@biomedicine.org.ge; n8emukhvari@ biomedicine.org.ge

ტელ: – 2 37 11 65; 2 37 12 31; 2 37 11 78;

საკონტაქტო პირი **ნინო ემუხვარი** – დირექტორის თანაშემწე;

ელმირა მეგედი – საქმის მწარმოებელი.

მარიამ ირემაშვილი – ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

საქმე №1/126-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

26 იანვარი 2016 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: სიმონ მახათაძე, გიორგი კობერიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 31 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე სიმონ მახათაძისა და გიორგი კობერიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 25 ნოემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და სიმონ მახათაძეს შორის დაიდო №111492758 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 5250 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 48 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

2014 წლის 25 ნოემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და გიორგი კობერიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდები იღებს ვალდებულებას მთლიანად იყოს პასუხისმგებელი „მისო”-ს წინაშე სიმონ მახათაძის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2015 წლის 2 თებერვალს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ კრედიტის ძირითად თანხად განისაზღვრა 5950 აშშ დოლარი.

2015 წლის 2 თებერვალს შპს „ნოვა კრედიტსა” და გიორგი კობერიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თავდები იღებს ვალდებულებას მთლიანად იყოს პასუხისმგებელი „მისო”-ს წინაშე სიმონ მახათაძის მიერ ხელშეკრულებით და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე სიმონ მახათაძეს სამჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა არცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე სიმონ მახათაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე სიმონ მახათაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე სიმონ მახათაძეს (პირადი №18001011127) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. სიმონ მახათაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე სიმონ მახათაძესა და გიორგი კობერიძეს (პირადი №01025002868) ეცნობოთ, რომ 2016 წლის 1 მარტს 10:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით სიმონ მახათაძისა და გიორგი კობერიძის მიმართ.

5. სიმონ მახათაძესა და გიორგი კობერიძეს ეცნობოთ თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარეები არ გამოცხადდებიან არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეებს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/181-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

26 იანვარი 2016 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ჯაბა მაისურაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 11 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე ჯაბა მაისურაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 11 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და ჯაბა მაისურაძეს შორის დაიდო №081413546 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილი იყო მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ბმვ 745 I; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტიპი: სედანი; ფერი: რუხი 6/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WBAGL63574DP72734; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL2883145; სარეგისტრაციო ნომერი: GNN704.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ჯაბა მაისურაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ჯაბა მაისურაძე მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ჯაბა მაისურაძეს (პირადი №01001071973) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ჯაბა მაისურაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ჯაბა მაისურაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 1 მარტს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ჯაბა მაისურაძის მიმართ.

5. ჯაბა მაისურაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/180-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

26 იანვარი 2016 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ცეზარ ცათიაშვილი, ავთანდილ ახვლედიანი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2015 წლის 9 ნოემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე ცეზარ ცათიაშვილისა და ავთანდილ ახვლედიანის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 22 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ცეზარ ცათიაშვილს შორის დაიდო №091413741 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილი იყო მოპასუხის ცეზარ ცათიაშვილის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: აუდი A4; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2007; ტიპი: სედანი,ფერი: შავი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №WAUAF78E08A009697; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL1284024; სარეგისტრაციო ნომერი: XAM707.

2014 წლის 22 სექტემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და ავთანდილ ახვლედიანს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაედო მოპასუხის ავთანდილ ახვლედიანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ცეზარ ცათიაშვილს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხეს ცეზარ ცათიაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხეებს ცეზარ ცათიაშვილსა (პირადი №08001008472) და ავთანდილ ახვლედიანს (პირადი №01008013887) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ცეზარ ცათიაშვილსა და ავთანდილ ახვლედიანს განემარტოთ, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხეებს ცეზარ ცათიაშვილსა და ავთანდილ ახვლედიანს ეცნობოთ, რომ 2016 წლის 1 მარტს 10:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ცეზარ ცათიაშვილისა და ავთანდილ ახვლედიანის მიმართ.

5. ცეზარ ცათიაშვილსა და ავთანდილ ახვლედიანს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარეები არ გამოცხადდებიან არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეებს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ბუნტი ტატამს მიღმა

ზურაბ ზვიადაური ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს უპირისპირდება

„ვფიქრობ, ძიუდოს ფედერაციაში დაბრუნდა და ბრუნდება 1990-იანი წლები," – ეს განცხადება პარლამენტის სპორტის კომიტეტის წევრმა ზურაბ ზვიადაურმა გუშინ პარლამენტში, სპორტის კომიტეტის სხდომაზე „სპორტის შესახებ" კანონპროექტის განხილვისას გააკეთა.

„ყველასთვის გასაკვირი იქნება, რომ მე ამ განცხადებას ვაკეთებ, რადგან ცოტა ხნის წინათ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და ფედერაციაც საუკეთესოდ დასახელდა, რაც კარგია და ვაღიარებ, რომ ის წარმატებული ფედერაციაა, მაგრამ ფედერაცია წარმატებული იმ ბიჭებით არის, რომლებიც წელებზე ფეხს იდგამენ და მას საქართველოს ეროვნული ნაკრები ჰქვია. მინდა, რომ ვისაც გული შესტკივა ძიუდოს სამყაროზე, ასევე სპორტის სამინისტროს და მინისტრს ვთხოვოთ და მოვთხოვოთ, რომ ყურადღება მიაქციონ და გადახედონ იმას, თუ რა ხდება ძიუდოს სამყაროში," – აცხადებს ზვიადაური.

როგორც მან აღნიშნა, წინადღეს ძიუდოისტებს შეხვდა და მან მათგან ფედერაციაში არსებულ ვითარებაზე გარკვეული ინფორმაციაც მიიღო.

„მათ გვერდზე დგომა და ის ელემენტარული პირობები სჭირდებათ, რაც ჩვენ 1990-იან წლებში გვაკლდა. დღეს ვფიქრობ, რომ 1990-იანი წლები დაბრუნდა და ბრუნდება, ვინაიდან ამის თაობაზე სპორტსმენების გულისტკივილი მოვისმინე," – აღნიშნავს ზვიადაური.

ზვიადაური მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტსა და სპორტსმენებს შორის არსებული დამოკიდებულება გაასაჯაროონ.

„ელემენტარული პირობები არ არის. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი იმ ნაკრებს გათბობას არ ურთავს, რომელიც საქართველოში ნომერ პირველი სპორტის სახეობისაა. ყველას ვთხოვ და მოვითხოვ კიდეც, რომ ამ საკითხს ყურადღება მიაქციონ, მას დღესვე დაუძახონ და გაარკვიონ, თუ რა ხდება და რატომ არის მსგავსი მდგომარეობა. ბიჭები, რომლებიც შეკრებას გადიოდნენ, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა სახლებში გაუშვა, ოთხი დღე არ დატოვა და მათ უთხრა, რომ სახლებიდან ევლოთ, რაც სწორი დამოკიდებულება არაა. ბატონო შოთა, თქვენ ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყავით და იცით, თითოეული დღე როგორი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოლიმპიური წელია," - მიმართა შოთა ხაბარელს ზვიადაურმა.

„სპორტის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილეს, რომლის მიხედვით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის სამართლებრივი ფორმა - ის იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. გარდა ამისა, სპორტული ფედერაციის უმაღლეს ორგანოდ განისაზღვრა ყრილობა, რომლის შემადგენლობაში წევრთა არანაკლებ სამ მეოთხედს უნდა წარმოადგენდნენ სპორტული ორგანიზაციები. გარკვეული პირობები დგინდება ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ. კერძოდ, ის შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, სარგებლობს მაღალი რეპუტაციით და არ არის ნასამართლევი.

კობა კობახიძე

◎ ჟამი ოფლისღვრისა

„დინამო" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა

გუშინ ბათუმის „დინამო" ბელეკში საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა. აჭარული კლუბი თურქეთში ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

შეკრებაზე ზღვისპირელები შემდეგი შემადგენლობით ჩავიდნენ:

მეკარეები: მიხეილ ალავიძე, შოთა მამინაშვილი, რომან ტაკიძე.

მცველები: ანზორ სუხიაშვილი, ბადრი ტეტუნაშვილი, ნიკა მგელაძე, ვაჟა ქორიძე, არჩილ ტვილდიანი, ზურაბ ქათამაძე.

ნახევარმცველები: თეიმურაზ შონია, გიორგი ქავთარაძე, ვაკო თევდორაძე, გელა გოგიტიძე, პაპუნა ფონიავა, ნიკა დიასამიძე, ბექა ჭკუასელი, ბექა ვარშანიძე, ნიკა კვანტალიანი, გიორგი კაშია.

ფორვარდები: გიორგი ბერიაშვილი, გიორგი გაბედავა, ტატო აბუსერიძე, თამაზ მაქაცარია.

გუნდს ანტალიაში ბოსნიელი მცველი მარკო მიხაილოვიჩი შეუერთდება. რაც შეეხება წასულ ფეხბურთელებს, „დინამოს" კაპიტანმა ბორის მახარაძემ გუნდი იანვრის დასაწყისში დატოვა და ოჯახური პრობლემების გამო თბილისის „ლოკომოტივში" გადაბარგდა, ხოლო ლუის მედინა კარიერას პორტუგალიაში გააგრძელებს.

მატჩების განრიგი

31 იანვარი – „პოდბრეზოვა", სლოვაკეთი;

3 თებერვალი – „პაკში", უნგრეთი;

6 თებერვალი (სავარაუდოდ) – „ბოტოშანი", რუმინეთი;

8 თებერვალი – „ზორია", უკრაინა;

9 თებერვალი – „ირტიში", ყაზახეთი.

გიორგი შოთაძე

◎ ფარიკაობა

პადოვაში – რეიტინგების ასამაღლებლად

ძართველმა მოხმალავე ვაჟებმა ამას წინათ წარმატებით იასპარეზეს სტამბოლში გამართულ მსოფლიოს თასის ეტაპზე: ახალგაზრდებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მეორე ადგილი კანადელ იოზეფ პოლუსიფაკისს ერგო, ხოლო მესამე ადგილები მიხეილ მარდალეიშვილმა და ბექა ბაზაძემ დაიკავეს.

ჩვენი გუნდი (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ნიკა შენგელია) მთავარი მწვრთნელის - მერაბ ბაზაძის ხელმძღვანელობით 19 იანვრიდან მოსკოვში იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე. დღეიდან ქართველი მოხმალავე ვაჟები იტალიურ პადოვაში მსოფლიოს პირად-გუნდურ და ევროპის გუნდურ თასებზე დაუპირისპირდებიან მეტოქეებს და მსოფლიო რეიტინგის გასაუმჯობესებლად იბრძოლებენ: სანდრო ბაზაძეს ქულები რიოს ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად, ნაკრებს კი მსოფლიოს ჩემპიონატში საასპარეზოდ სჭირდება. ეს შეჯიბრება 25-27 აპრილს რიოს ოლიმპიურ ბილიკებზე გაიმართება. მედლებისთვის პაექრობაში 16 ნაკრები ჩაებმება. ქართველები რეიტინგით ამჟამად მე-17 ადგილზე არიან და კანადელებს ქულით ჩამორჩებიან.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან – სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა ბაზაძე.

ქევხიშვილი ზვიადაურზე: ის იმ ჯგუფის ნაწილია, ვინც თვლის, რომ ძიუდო მის გარშემო უნდა ბრუნავდეს

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილის განცხადებით, ზურაბ ზვიადაური „იმ ჯგუფის ნაწილია, ვინც თვლის, რომ ძიუდო მის გარშემო უნდა ბრუნავდეს". ოლიმპიური ჩემპიონის ბრალდებებს ქევხიშვილმა ბრალდებებითვე უპასუხა.

„თუ ვინმე თავად არის დაბრუნებული 90-იან წლებში ეს მისი პრობლემაა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციას და, ზოგადად, ნაკრებს არა თუ უკანასკნელ პერიოდში, არამედ არასდროს ჰქონია ის პირობები, რაც აქვს. მას სჩვევია ანალოგიური გამოხდომები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, რადგან ის იმ ჯგუფის ნაწილია, ვინც თვლის, რომ ძიუდო მის გარშემო უნდა ბრუნავდეს. პირიქით, იქით არის მისათითებელი, რომ სამი წლის განმავლობაში არა თუ დახმარება, არამედ ხელის შეშლის მეტი მისგან, ზოგადად, მითუმეტეს იმ ფორმატში, რაშიც მათ შეეძლოთ ძიუდოსთვის ძალიან ბევრი გაეკეთებინათ, არაფერი გაუკეთებიათ", – აღნიშნა დავით ქევხიშვილმა.

◎ ინტერნეტიდან

იოლანდა – ვითარცა ყუმბარა აზღუდში...

ამდენმა უთამაშებლობამ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე ოცნებამ ვეტერან ესპანელ კიპერს ვიქტორ ვალდესს გუნება გვარიანად გაუფუჭა და წუწუნსაც შეეჩვია. ერთადერთი, რაც სენიორ ვიქტორს დარდს უქარვებს და ბურთის ხელში დაჭერის ტკბილ დროს ახსენებს, ეს მისი ცოლის, მოდელ იოლანდა კარდონას მკერდია, რომელიც ჰაი ჰაი რომ ნაღდად არ ჩამოუვარდება იმ ბურთებს, რომლებსაც ვალდესის ხელში გაუვლიათ.

იოლანდა მოქმედი მოდელია და თვე ისე არ გავა, ფოტოკამერის წინ იმერელი აზნაურივით რომ არ წამოიდრანგოს. ხომ იცით ძველი იმერელი აზნაურების ამბავი? ერთ რამედ ღირდა იმის ნახვა, როგორ გაიშოტებოდა ხმელ ტახტზე ნახევრად მშიერი აზნაური, რომელსაც წვერი ხალხის დასანახად ქონით ჰქონდა გაპოხილი – აქაოდა, სულ კაი-კაი და ცხიმიანი რამეები მიმირთმევიაო.

ამასწინათ იოლანდა კარდონამ ერთ-ერთი ცნობილი კოლუმბიური ჟურნალისათვის იპოზიორა და აზღუდში ყუმბარებივით ჩაწყობილი მკერდი ფოტოობიექტივის წინ ისე აათამაშა, ამის დამნახავი კაცი იტყოდა, ქალიც შენა ყოფილხარ და ძუძუც შენა გქონიაო. რაც აქვს, აქვს – არ უნდა დავუკარგოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი



დასავლელებს პოპოვიჩი გაუძღვება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ყველა ვარსკვლავის" მატჩში დასავლეთ კონფერენციის გუნდს „სან ანტონიოს" თავკაცი გრეგ პოპოვიჩი გაუძღვება.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთში 41 მოგებით და 4 მარცხით პირველ ადგილზე „გოლდენ სტეიტი" იმყოფება, თუმცა, მის დამრიგებელ სტივ კერს გუნდის ზედიზედ მე-2 „ოლ სტარზე" გაყვანის უფლება არ ჰქონდა.

ამგვარად, არჩევანი პოპოვიჩზე შეჩერდა, რომლის „სფურზიც" დასავლეთ კონფერენციაში მეორეა – 38 გამარჯვება, 7 წაგება.

ახლა სწორედ „სან ანტონიოს" მხცოვანმა დამრიგებელმა უნდა დაასახელოს დასავლეთის გუნდის დარჩენილი შვიდი კალათბურთელი, რომელთა შორის მოხვედრის თეორიული შანსი ზაზა ფაჩულიასაც აქვს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფიგურული ციგურაობა

29-ე ადგილით დაკმაყოფილდა

ბრატისლავაში (სლოვაკეთი) დაიწყო ფიგურულად მოციგურავეთა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში არ მონაწილეობს ჩვენი სახელოვანი ელენე გედევანიშვილი, რომელმაც მსგავს პირველობებში ორჯერ მესამე ადგილი დაიკავა. საქართველოს სახელით 19 წლის არმენ აგაიანმა (მწვრთნელები – გიორგი შანყულაშვილი და ინგა გილაური) იასპარეზა, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ამერიკაში ემზადებოდა.

ტურნირის პირველი დღე ქალთა და ვაჟთა მოკლე პროგრამებით პაექრობას დაეთმო. ვაჟების ფინალურ 24 საუკეთესოში მოსახვედრად სხვადასხვა ქვეყნის 35 წარმომადგენელი იბრძოდა. არმენმა მოკლე პროგრამით 49.32 ქულა დაიმსახურა, რაც ფინალში მოსახვედრად არ ეყო – 29-ე ადგილზე გავიდა.

პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ: ქალები. **ევგენია მედვედევა (72.55), ელენა როდიონოვა (70.96) და ანა პოგორელოვა (სამივე რუსეთი, 63.81).** ვაჟები. **ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი, 102.54), მაქსიმ კოვტუნი რუსეთი, 88.09) და მიხალ ბრეზინა (ჩეხეთი, 84.30).**

გივი გაგუა

სურათზე: არმენ აგაიანი ასპარეზობისას.

◎ კოშმარი

მონური შრომის „გაკვეთილები“

21-ე საუკუნის რუსეთში, უამრავ სხვა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ პრობლემასთან ერთად, უაღრესად მწვავედ დგას... სხვადასხვა ფორმით ადამიანთა მონობის საკითხი. პოპულარული გაზეთის „არგუმენტი ი ფაქტის“ მონაცემებით, კომპანია „გლობალ სლევერი ინდექსის“ თანახმად, მონების რიცხვნობით რუსეთი ამჟამად მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა – ექსპერტებმა იქ მილიონობით შრომითი და სექსუალური მონა დაითვალეს!

ერთ-ერთი ყველაზე დაფარული სექსუალური მონობა, რადგან ქალიშვილები ყველაფერს არც ახლობლებს, არც სამართალდამცველებს არ უყვებიან. ამასთან, რუსეთის შს სამინისტროში აცხადებენ, რომ ქვეყანაში მეძავები ძირითადად მოლდოველი და უკრაინელი ქალიშვილები არიან, თავად რუსეთელების ოდენობა კი ბოლო დროს შემცირდა.

ცოტა ხნის წინათ მოძრაობა „ალტერნატივის“ აქტივისტებმა, რომელთა მიზანი ტყვეთა მონობიდან გათავისუფლებაა, ორი ქალიშვილი დაიხსნეს... მახაჩკალის საროსკიპოდან, რომლებიც მოსკოვში სწრაფი კვების ქსელში სამუშაოდ ჩავიდნენ. ასევე შეძლეს განელი ქალიშვილის გათავისუფლება, რომელიც მოსკოვში მკერავად სამუშაოდ მიიწვიეს, მერე იმით დააშინეს, რომ ვუდუს მაგიის მეშვეობით ახლობლებს მუშაოს საძებნელად წასული კაცი ვიღაც ორ კავკასიელს გადაყრია, რომლებიც... ჩაით გაუმასპინძლდნენ, რის შემდეგ თავი ვოლგოგრადის ოლქში ამოყო, სადაც აისიდან დაისამდე ამუშავებდნენ, ხოლო გაქცევა რომ სცადა, დაიჭირეს, სასტიკად სცემეს და მეორე მონათმფლობელს ცხვარში გაუცვალეს.

ადამიანის უფლებათა დამცველთა განცხადებით, **მოსკოვის ქუჩებში თითქმის ყველა ხეიბარი მათხოვარი ვიღაცის კუთვნილებაა, – მათი ყოველდღიური საშუალო შემოსავალი 5-დან 7 ათას რუბლამდეა, ამიტომაც ბევრს გაეზრახა აინვალიდებდნენ,** – აცხადებს ალტერნატივის დამფუძნებელი **ოლეგ მელნიკოვი.** – იყო ერთი თვალისჩინდაკარგული მოხუცი ქალი ლუგანსკის ხანდაზმულთა სახლიდან, რომელსაც რუსეთში განკურნვას დაპირდნენ, აქ კი თვალები გაუკერეს და კურსკის სადგურთან ხელგაწვდილი დააყენეს. მოხუცი ერთი წელი ისე იდგა იქ ზამთარ-ზაფხულ, რომ სამართალდამცველების ყურადღება არ მიუპყრია, დღეში 50 ათას რუბლს აძლევდა გულმოწყალე ხალხი. ყველაზე მომგებიანი კი ზამთარი იყო, როცა თვალები უჭირქდებოდა (!!).

ოდესელი ქალი ჟანა მ. მოსკოვში ბავშვების მომვლელად წაიყვანეს, მაგრამ მერე მეტროსთან დააყენეს და მათხოვრობა აიძულეს. გაქცევა რომ სცადა, დაიჭირეს და ფეხები გადაუმტვრიეს.

დაუხოცავდნენ და ბორდელში ამოაყოფინეს თავი.

პატიოსან ქალიშვილთა მეძავებად გადაქცევის ტექნოლოგია სამყაროსავით ძველია: პროვინციიდან ან სხვა ქვეყნებიდან მათ რაღაც სამუშაოზე იწვევენ, მერე საბუთებს ართმევენ და შემდეგ ძალით ყიდიან.

ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ **აგრომონობა** ფართოდაა გავრცელებული **ვოლგოგრადისა და როსტოვის ოლქებში, ყალმუხეთსა და დაღესტანში,** სადაც ადამიანებს ნახირივით ყიდულობენ მძიმე სამუშაოს შესასრულებლად.

ბავშვთა სახლში გაზრდილი ევგენი სკოროდუმოვი ვოლგოგრადის ოლქში კარტოფილის ნათესების დასამუშავებლად ჩაიყვანეს, სადაც სამი წლის მანძილზე მონურად მუშაობდა მარტო სალაფავის საფასურად. შემდეგ გაქცევა მოახერხა, გზატკეცილზე ვიღაცამ მანქანაც გაუჩერა, მაგრამ „კეთილმა“ მძღოლმა იგი ახლა როსტოვის ოლქში ჩაიყვანა, სადაც... ისევ მონად გაყიდა, ოღონდ ამ ჯერზე უკვე ცხვარს ამწყემსინებდნენ. „ალტერნატივის“ ხალხმა მას ბედზე მიუსწრო.

მახაჩკალაში აგურის ქარხანაში მონა იყო ასევე საბავშვო სახლში გაზრდილი 24 წლის ვლადიმერ ლ. ლიპეცკიდან, წლინახევარი ისიც მხოლოდ ლუკმაპურის საფასურად ამუშავეს, მერე აუტანელი პირობების და გამუდმებული ცემისგან ფეხებმა უმტყუნეს, რის შემდეგ ადგილობრივ საავადმყოფოსთან დააგდეს.

ევგენი მოროზოვს ორი უმაღლესი განათლება აქვს, მაგრამ საოთხი წელი გაატარა მოლდოველ ბოშებთან მონობაში ეტლში მყოფმა ინვალიდმა ალექსანდრე არტამონოვმა ხარკოვის ოლქიდან. მოსკოვის მეტროს თითქმის ყველა სადგურში მოუწია მათხოვრობა. **მისი თქმით, გზებსა და მეტროში ხელგაშვერილი ყველა მათხოვარი მაფიის საკუთრებაა, სამხედრო ფორმიან ინვალიდებს კი, როგორც წესი, ჯარსა და ომთან არანაირი კავშირი არა აქვთ.** მან რამდენჯერმე სცადა გაქცევა, თუმცა ორივე ტერფმოკვეთილი კაცი ექსვიჯერ დაიჭირეს და „ჭკუაც ასწავლეს“. პოლიციამ იგი ორმოცდაათჯერ მაინც დააკავა (!), მაგრამ შველა არც უფიქრია.

– მონების ნიხრი ცნობილია: **მშრომელი მონა 20-25 ათასი რუბლი ღირს, სექს-მონა – 50-დან 150 ათას რუბლამდე, ინვალიდი მათხოვარი – 50 ათასი რუბლი, – ამბობს ოლეგ მელნიკოვი. – ყველაზე დიდი საშინელება კი „ჩვილიანი მადონაა“ (მათხოვარი ქალი ბავშვით ხელში). შავ ბაზარზე ჩვილი ბავშვი 100 ათასი რუბლი ღირს, მას გამუდმებით აზალეაპტინს ან კონიაკს ასმევენ, რომ სულ ეძინოს.**

სამართალდამცველებთან მუშაობა ძალიან ჭირს, თუმცა კი დიდ დახმარებას დაღესტნელი პოლიციელები გვიწევენ, ახლა კი მათ მეტროპოლიტენის პოლიციაც აყვა. მაგრამ სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოებში განხილვა მაინც დიდ პრობლემად რჩება, მას ნახევარი წელი და მეტი ხნის ლოდინი უნდა, ხალხი კი შინ დაბრუნებას და განცდილი კოშმარის რაც შეიძლება მალე დავიწყებას ცდილობს...

ვიხსენებთ მეგობარს

კალამი გულიდან უჭრიდა



ნებისმიერ რედაქციაში ერთადერთი სიტყვა ისმის ყველაზე ხშირად:

ჩქარა!, ჩქარა!, ჩქარა!

მაინც სად გვეჩქარება? უსასრულობისკენ?

რაღა თქმა უნდა, უსასრულობისკენ... ადამიანი დღემუდამ მეტის მოსწრებას ლამობს, რადგანაც მართლა წუთისა ყოფილა ტიალი წუთისოფელი. ცხოვრება სიკვდილისთვის, დიდ სოფელში გარდასახვისთვის სამზადისია და ჩვენთვის განკუთვნილი სააქაო დროჟამი თუ ჩქარა არ მოივარგე და მოიჭირნახულე, ცარიელ-ტარიელი დარჩები, ყოველმხრივ ცოდვილი და წუთისოფლისთვის გამოუსადეგარი...

ბონდო გულიაშვილი მშობლიური კარდენახიდან ჩამოვიდა, ქალაქში ნაღდი ვაჟკაცის სახელი დაიგდო და ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას ძლიერი მხრებით და მართალი კალმით ბოლომდე ემსახურა.

მკითხველს მხოლოდ ერთ ფაქტს შევახსენებთ: ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ გარდაქმნა (კომუნისტური ეპოქის მიმწუხრის ჟამს, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს) ასე წარმატებით შეიძლებოდა: ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა გურამ გოგიაშვილმა და პასუხისმგებელმა მდივანმა ბონდო გულიაშვილმა ჟურნალს ჯერ „პარტიული სიტყვა“, შემდეგ „საზრისი“ დაარქვეს, შინაარსი და ფორმა მთლიანად შეუცვალეს და მკითხველს თანამედროვე, მართლაც ევროპული დონის ჟურნალი შესთავაზეს! სწორედაც რომ ამ ჟურნალით დაიწყო საქართველოში საბჭოთა ჟურნალისტიკის თავისუფალ ჟურნალისტიკად გარდაქმნა.

პასუხისმგებელი მდივანი ოდითგანვე ნებისმიერი რედაქციის წამყვანი მუშაკი, ანუ „მორბენალი ცხენია“... ის ჟურნალის (გაზეთის) სულისჩამდგმელია, ოპერატიული, სარედაქციო ორომტრიალის მუხლჩაუხრელი ორგანიზატორია.

პარტიული ჟურნალების შემდეგ ბონდო გულიაშვილი მთელი 20 წელიწადი მუშაობდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმომხილველ-რედაქტორად. წერდა სამართლის, მართლმსაჯულების, სოციალური ყოფის პრობლემებზე. წერდა სწრაფად, გონივრულად, პრინციპულად. ხშირად იყენებდა სატირასა და იუმორს. მისი ფელეტონები (აგიტა ქილიკაურის ფსევდონიმით დაბეჭდილი) დღესაც ახსოვს მკითხველს.

თბილისის დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ბონდო გულიაშვილს მუხლი არ ჩაუხრია. მან არ იცოდა დაღლა, ნებისმიერ სარედაქციო დავალებას ასრულებდა უზადოდ, ჰქონდა ადამიანებთან, მეგობრებთან ურთიერთობის შესანატრი ნიჭი. ეს გულითადი და პირდაპირი მეგობარი, კაი ყმა და კოლეგა მუდამ ინარჩუნებდა საკუთარ ღირსებას, პატრონობდა შესანიშნავ ოჯახს, დაზარდა პატიოსანი, მართალი, სიკეთით სავსე შვილები და შვილიშვილები...

ბონდო გულიაშვილმა, ამ ბაჯაღლო გულის ვაჟკაცმა, პატრიოტმა და ჭეშმარიტმა პროფესიონალმა ბოლომდე შეინარჩუნა ჩვეული ხასიათი – ეცხოვრა მართალი კაცის ცხოვრებით.

ჩქარა! – ბონდოს სულ ეჩქარებოდა, ერთი წლის წინათ, ხანმოკლე უმძიმესი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა. აქაც იჩქარა, სიბრძნის ასაკში განერიდა წუთისოფელს. მას ჯერ კიდევ შეეძლო მკითხველის, მეგობრების და ოჯახის გულის გახარება.

მართლაც რა უკანმოუხედავად გარბის დრო... მით უმეტეს, თუ გარდაცვლილი შენი, ჩვენი, ყველას უახლოესი მეგობარია...

„სრ“-ის რედაქცია

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი

ელდარ სახლთხუცისშვილი

ბატონი ელდარი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში და რამდენიმე დასამახსოვრებელი სახე შექმნა ამ თეატრის სცენაზე. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლეგებსა და მეგობრებს შორის. ნათელი პიროვნება, თბილი, კეთილი ადამიანი – ასეთი იყო იგი სიცოცხლეში და ასეთად დარჩება ყველას გულში. რუსთაველის თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ელდარის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

უშანგი ჩომახიძე, ჯონი კირვალიძე, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის რატი ხიხაძის დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ჟუჟუნა ხიხაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს.

◎ ალიან-ჩალიანი

ავარია წყალსადენის მაგისტრალზე

გუშინ დილით, დაახლოებით 6:30 საათზე, ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის გამო, ავარიულად დაზიანდა ჟვანიას (გაგარინის) მოედანზე გამავალი წყალსადენის 1000 მმ-იანი თუჯის მაგისტრალური მილდენი, – იტყობინება კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“.

გუშინ წყალმომარაგება უკვე შეზღუდული ჰქონდა: დიღომი-8-ს, ბელიაშვილისა და ლუბლიანას ქუჩების ნაწილს, ჟვანიას კლინიკის ტერიტორიას, აშშ-ის საელჩოს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ობიექტებს, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარე ქუჩებს, ფანასკერტელის, იყალთოს, ქარელისა და ლიხაურის ქუჩებს, ასევე მთაწმინდისა და კრწანისის რაიონების ქუჩების ნაწილს. ჭავჭავაძის გამზირის ნაწილს, წყნეთის გზატკეცილს, ბაგებს, ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გამზირების ნაწილს, ვაჟა-ფშაველას კვარტლებს, ნუცუბიძის ქუჩასა და მიკრორაიონებს, ქავთარაძის, ჯიქიას, უნივერსიტეტისა და მათ მიმდებარე ქუჩებს.

ნარკორეალიზატორი ბაკურიანში დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული ნატალია ბ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბაკურიანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნატალია ბ. იმ დროს დააკავეს, როდესაც ის კუთვნილი ავტომანქანით ბაკურიანიდან ბორჯომის მიმართულებით გადაადგილდებოდა. პოლიციამ ბრალდებულის ავტომანქანის ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - მეტამფეტამინი ამოიღო. დაკავებულს შემოწმებისას ნარკოთორობა დაუდგინდა. იგი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მკვლელობა ვარკეთილში

ვარკეთილში ახალგაზრდა მამაკაცმა მეუღლე მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. არსებული ინფორმაციით, მკვლელობა ყოფილი 109 სკოლის ეზოში მოხდა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ქალის მკვლელობის ფაქტზე 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო, მამაკაცის თვითმკვლელობის ფაქტზე კი გამოძიება 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ექსპერტ-კრიმინალისტებმა ადგილზე არსებული ვითარება უკვე შეისწავლეს, ცხედრები პროზექტურაშია გადასვენებული.

თვლემის სიკეთე

სადილის შემდეგ ხანმოკლე ძილი ინფარქტისა და ინსულტის საფრთხეს 30 პროცენტით ამცირებს.

გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სადილის შემდეგ თუნდაც დამჯდარ 15-წუთიან თვლემას შრომისუნარიანობის და კონცენტრაციის გაუმჯობესება შეუძლია. ამიტომაც, მსხვილი სამამულო კონცერნების მეპატრონეებს ისინი თავიანთ მუშაკთათვის სადილის შემდგომი დასვენების ზონების მოწყობას ურჩევენ.

ქალიც და კაციც ერთი ეშმაკია!

ისრაელის თელ-ავივის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის თავის ტვინი ქალის ტვინისგან არაფრით არ განსხვავდება.

არადა, დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ მამაკაცისა და ქალის ტვინები სხვადასხვანაირად მუშაობენ. მაგრამ, მეცნიერთა მიერ 1400 კაცის თავის ტვინის სკანირების შედეგად დადგინდა, რომ ორივე სქესის წარმომადგენელთა თავის ტვინის აგებულებაც, ქსოვილთა სისქეც, სტრუქტურის მოცულობაც ერთნაირია.

მატყუარების ქვეყანა

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩატარებული ექსპერიმენტის მსვლელობისას დაადგინეს, რომ პატიოსნება პირდაპირაა დამოკიდებული... დღე-ღამის დროზე.

აღმოჩნდა, რომ დილაობით ცრუობდა გამოკვლევაში მონაწილეთა 43 პროცენტი, საღამოობით – 46 პროცენტი. ექსპერიმენტმა ასევე აჩვენა, რომ კრისტალურად სუფთა ადამიანები არ არსებობენ – ტყუილს ამბობს აბსოლუტურად ყველა, განსხვავება მხოლოდ ინტენსივობაშია.

ზამთარში ფრთხილად, მამაკაცებო!

თურმე, ზამთარში ქალები უფრო ავები ხდებიან.

ეს დასკვნა მეცნიერებმა მდედრ ზაზუნებზე დაკვირვების შემდეგ გამოიტანეს. მოკლე სინათლის დღე მათს აგრესიულობას ზრდიდა, ისინი ერთმანეთში უფრო მეტს ჩხუბობდნენ, თანაც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

აღმოჩნდა, რომ ქალური ბრაზიანობის მაპროვოცირებელია ჰორმონი მელატონინი: თირკმელზედა ჯირკვლების ჰორმონებთან ურთიერთობის შედეგად ის მდედრთა აგრესიულობას რამდენჯერმე ზრდის.

ზარალიანი ნაძლევი

ცოტა ხნის წინათ რუსეთის ალტაის მხარის ქალაქ რუბლოვსკის მახლობლად ერთობ საგულისხმო ამბავი მოხდა.

ორი გვარიანად შეზარხოშებული თანასოფლელი 100 ათას რუბლზე დანაძლევდა: ერთი ამბობდა, რომ მინდორში ისე დაიმალებოდა, რომ ვერავინ მიაგნებდა, მეორე კი ამტკიცებდა, რომ ორ დღე-ღამეში აუცილებლად იპოვიდა. ხელი დაკრეს, რის მერე ერთი დაიმალა, მეორე კი... პოლიციაში წავიდა და განაცხადა, რომ მისმა მეგობარმა მანქანა გამოართვა და დაიკარგა – „საზრიანი“ კაცი დარწმუნებული იყო, რომ სამართალდამცველები მის ძმაკაცს უპრობლემოდ მიაგნებდნენ, მაგრამ, ხომ გსმენიათ, „კაცი ბჭობდა, უფალი იცინოდაო“?!

შესულ განცხადებასთან დაკავშირებით შემოწმება დაიწყო და შედეგად აღმოჩნდა, რომ ავტომანქანა სულაც... ვიღაც მესამე პირს ეკუთვნის, ამიტომაც, პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე უკვე თავად... განმცხადებლის მიმართ აღძრეს „განზრახ ცრუ შეტყობინების“ მუხლით და, შესაბამისად, არც არავის ძებნა არ დაუწყიათ.

შედეგად, მამაკაცი 7 ათასი რუბლით დააჯარიმეს, თანაც 100 ათასი კიდევ ძმაკაცთან წააგო...

◎ კაკალ გულში

„მოსახლეობას - ღორის გრიპი, მთავრობას - ღორის კანჭი“

● სანდრო გირგვლიანის საზარელი მკვლელობიდან-10 წელი გავიდა...

დამაინტერესა: დღეს მაინც თუ გრძნობენ სინდისის ქენჯნას ან რამე სინანულის გრძნობა თუ გააჩნიათ ნაცმოძრაობის ლიდერებს ან წინა ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს...

არც არაფერი ამდაგვარი, ისინი ღიად, დაუფარავად ლანძღავენ ბიძინა ივანიშვილს, ქართულ ოცნებას, აქებენ სააკაშვილს და გირგვლიანის მკვლელ ხელისუფლებას, საუბრობენ აბსურდებზე, ქილიკით...აღნიშნავენ, დღეს ადამიანის უფლებათა დარღვევას(?) და საერთოდ არ ახსენებენ გირგვლიანს...

თქვენ, რა ცომით მოზელილი გუნდა ხართ, დღეს კიდე გამოჩნდა! არანაირი სინანული, სირცხვილის, თვითკრიტიკის ნატამალი არ გააჩნიათ ამ ძალად მაცხონე-ლიბერალებს, დაბოღმილ რევანშისტებს!

● უშიშროების საბჭოს იუბილე განახლებულ ოპერაში ჩატარდება. ირინა იმერლიშვილი მარცხნივ საოპერო ვარძელში იჯდება. გამომსვლელები მოიყვანენ ციტატებს სტოლტენბერგის, სოლანას და სხვა მოღვაწეების ნაშრომებიდან და ბოლოს თეთრ ნაბადს აჩუქებენ .

● უწინ, ბავშვები, განათლებას „აი ია“-თი იწყებდნენ.

ახლა, – აი ფონით...

● ბაჩუკი ქარდავამ და მამუკა კაციტაძემ, უარი განუცხადეს რუსეთს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე.

კრემლი პანიკაშია და გამოსავალს ეძებს...

● მოსახლეობას ღორის გრიპი და მთავრობას ღორის კანჭი?!

● ამერიკელებმა ტანკები გვაჩუქეს. დავიღუპეთ. ახლა პოლიტიკოსები ჯიპებიდან ტანკებზე გადაჯდებიან და რა გაისტუმრებს ამ ტანკის სალიარკის და ზეთის ხარჯებს? გაზზე უნდა გადავაყვანინოთ სასწრაფოდ!!! ამერიკელებმა ტანკები გვაჩუქეს. დავიღუპეთ. ახლა პოლიტიკოსები ჯიპებიდან ტანკებზე გადაჯდებიან და რა გაისტუმრებს ამ ტანკის სალიარკის და ზეთის ხარჯებს? გაზზე უნდა გადავაყვანინოთ სასწრაფოდ!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ერთთავად ამ კულინარიულ გადაცემებს უყურებ, კარგი სადილი კი მაინც ვერ მოგიმზადებია, – საყვედურობს ქმარი ცოლს.

– შენც სულ პორნოფილმებს კი უყურებ, მაგრამ...

* * *

– ეჰ, წუხელ ძალიან ცუდად მეძინა, – შესჩივის ქმარი ცოლს.

– შენ საერთოდ შეგიძლია რაიმეს კარგად გაკეთება?

* * *

გოგონა თავის ძაღლთან ერთად, რომელსაც ლექსუსი ჰქვია, ვეტერინარიულ კლინიკაში ჩაეწერა და რიგში დგას. კაბინეტთან ექიმი გამოდის:

– ვინ არის აქ ლექსუსით?

პასუხად ვიღაც მამაკაცი წამოდგება.

– წამობრძანდით კასტრაციაზე.

* * *

ექიმი გინეკოლოგების მტკიცებით, ხელფასი ძალიან ჰგავს მენსტრუაციას... მთელი თვე ელოდები, ერთ კვირაში გიმთავრდება, ხოლო თუ რაიმე დაბრკოლება წარმოიშვა, ძალიან ნერვიულობ!

* * *

სოფლის კლუბში დისკოთეკაა. ბიჭი გოგოსთან მიდის:

– ცეკვავ?

– ჯერ არა.

– მაშინ წამოდი, ტრაქტორის დავჯიკავებაში დამეხმარე!

* * *

– რომელი ნივთიერება არ იხსნება წყალში? – ეკითხება ქიმიის მასწავლებელი მოსწავლეებს.

– თევზი! – წამოხტება მიხო.

* * *

– გამარჯობა, ლამაზო. ასეთ მზეთუნახავს შეყვარებული ჰყავს?

– რატომ და რა მიზნით მეკითხები? კაცი გინდა წამართვა, შე ვირო?

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!